გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№2 (897) 22 - 23 იანვარი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საჭმლის სოდა კიბოს წინააღმდეგ

გვ. 8

ცუდიო სიმონჩინის მკურნალობის მეთოდი სასწაულებს ახდენს!

რა მოხდა TV 3-ში?

„ამ თემით სპეკულირებას არ დავიწყებ, მით უმეტეს, არავის მიმართ გამოვთქვამ დაუსაბუთებელ ეჭვებს“

რატომ დატოვა არხის გენერალური დირექტორის პოსტი კახა ბაინდურაშვილმა და რას აპირებს გრიგოლ ბაიბურთი?

ექსკლუზიური ინტერვიუ TV3-ის ყოფილ და ახალ დირექტორებთან

გვ. 3–4

გვ. 5

ირაკლი ოქრუაშვილი დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს?!

კოალიციის შექმნის სურვილიც აქვს და თვითმმართველობის არჩევნებში შიდაქართლში პირადად აპირებს კენჭისყრას, რათა შემდგომ უფრო მაღალი თანამდებობის, გუბერნატორის პოსტი დაიკავოს სამომავლო ცრამპლინისთვის.

ექსპერტები ირაკლი ღარიბაშვილს „საინვესტიციო საბჭოს“ შექმნას სთხოვენ

გვ. 7

მსხვილ საინვესტიციო პროექტებს სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება

გვ. 6

მამუკა კაციტაძე: „არჩევნებამდე დედაქალაქში ცენტრალური მმართველობის დაწესება სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება, თუმცა არც კაპიტულაციის მომხრე ვარ!“

უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზე

რა მოხდება, თუ საკრებულო და მერია თებერვლის ბოლომდე ვერ შეთანხმდნენ

ირუსუდან შელია
557-100-768

საკრებულო და მერია კორექტირებულ ბიუჯეტზე ისევ ვერ შეთანხმდნენ. კონსულტაციები კი გრძელდება, მაგრამ არ არის გამორიცხული, პოლიტიკური ვითარება ჩიხში შევიდეს, მით უმეტეს, სატელევიზიო ანძასთან დაკავშირებული სკანდალი და მერიის საქალაქო სამსახურებში სამართალდამცავების გააქტიურება, ამ ვარაუდის საფუძველს ნამდვილად იძლევა. რა სამართლებრივი პროცედურებია გათვალისწინებული კანონმდებლობაში, თუკი 2014 წლის ბიუჯეტი ისევ ჩავარდა და როდის დაინიშნება დედაქალაქში ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები, „ვერსიისთან“ ამ საკითხებს იურისტი ლევან ალაფიშვილი განმარტავს.

— მსგავს კრიზისულ ვითარებაში იურიდიული პროცედურები არამხოლოდ დედაქალაქის შესახებ კანონმდებლობაში, არამედ საქართველოს კონსტიტუციაშიც გაწერილია: ქალაქის თვითმმართველობის ფუნქციონირებას ხელი რომ არ შეეშალოს და მოქალაქეთა ცხოვრებას საფრთხე არ შეექმნას, მთავრობა, პარლამენტთან ერთად, თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის ფუნქციის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ ინიციატივით უნდა გამოვიდეს, საბოლოო გადაწყვეტილება კი პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. რაც შეეხება იურიდიულ პროცედურებს, კონსიტიტუციაში განსაზღვრულია სამთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც კონსენსუსის მიღწევა და გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხერხდეს. როგორც ცნობილია, თბილისის საკრებულომ მერიის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტი დეკემბრის ბოლოს ჩააგდო, შესაბამისად, თებერვლის ბოლო ის ვადაა, რომლის შემდეგაც აღნიშნული სამართლებრივი პროცედურები უნდა ამუშავდეს.

— რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, თუ დედაქალაქის ბიუჯეტი არ დამტკიცდა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო დაითხოვა?

— ამ შემთხვევაში, თბილისში თვითმმართველობა და წარმომადგენლობითი ორგანოები ფუნქციონირებას შეწყვეტენ და დედაქალაქის მართვაზე პასუხისმგებლობას ცენტრალური ხელისუფლება აიღებს. ამის შემდეგ კი ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები უნდა დაინიშნოს.

— გამოდის, თბილისში ადგილობრივი არჩევნები დანარჩენ საქართველოზე ადრე ჩატარდება ან რა ვადაში უნდა დანიშნოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დედაქალაქის მთავრობის არჩევნები?

— დიახ, მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, თბილისში რიგგარეშე არჩევნები დანარჩენ საქართველოზე ადრე ჩატარდება, რაც მმართველ გუნდს, როგორც ტექნიკურ, ისე ფინანსურ პრობლემებსაც შეუქმნის. სწორედ ამიტომ განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, რომ ბარიერის აწევის საკითხი არჩევნების გაწელვასა და ფინანსურ პრობლემებს გამოიწვევს. რაც შეეხება კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვადამდელი არჩევნები დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნიდან 30-იდან 60 დღემდე უნდა დანიშნოს.

პრემიერ-მინისტრმა მთავარ პროკურორად გიორგი ბადაშვილი დანიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, მთავარ პროკურორად გიორგი ბადაშვილი დანიშნა. მთავრობის პირველი პირის პრესსამსახურის ინფორმაციით, **„მთავარი პროკურორის კანდიდატურისა და, ზოგადად, პროკურატურის საქმიანობის მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, მთავარი პროკურორის კანდიდატურა შეირჩა მისი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და კარგი რეპუტაციის მიხედვით“.**

პრემიერ-მინისტრთან გამართული ერთობლივი კონსულტაციების შედეგად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, პროკურატურის შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დასანიშნად მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ამჟამინდელი უფროსის, გიორგი ბადაშვილის კანდიდატურა წარუდგინა.

გიორგი ბადაშვილი დაიბადა 1981 წელს. 2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გიორგი ბადაშვილი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილედ, სხვადასხვა დროს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მაღალ თანამდებობებზე; პროფესიით იურისტია, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. 2013 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე იკავებს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის პოსტს.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ვანო მერაბიშვილი: „ჩემი მეუღლის წინააღმდეგ დაიწყეს პატარკაცული ქმედებები“

ვანო მერაბიშვილი მეუღლეს, თაკო სალაყაიას პროკურატურაში დაკითხვისას მხნეობას უსურვებს და საკნიდან უთანაგრძნობს, — ამის შესახებ განცხადება საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე მერაბიშვილმა გააკეთა და სასამართლო დარბაზი დატოვა.

როგორც მერაბიშვილმა აღნიშნა, მისი მეუღლის დაკითხვაზე დაბარება მასზე ზეწოლის გაგრძელებაა.

„ყაჩაღმა პროკურორმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნარკომანმა ხელმძღვანელმა აღასრულეს ის მუქარა, რომელიც ჩემი ციხიდან გაყვანის პერიოდში არსებობდა. ეს არის შეუნიღბავი ზეწოლა, უსუსური ქცევა. ყველამ დაინახა, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერზე წამსვლელია. ვიძლევი გარანტიას, რომ ასეთი პატარა ადამიანები აუცილებლად დაისჯებიან. ისინი დიდხანს ვერ დარჩებიან ხელისუფლებაში. ზეწოლა ხდება ჩემს ნათესავებზე, მათ შორის ბიძაჩემის პროცესი ამ დროისთვის მიმდინარეობს. ახლა კი გადაწყვიტეს, რომ ამით გამტეხავენ და ჩემი მეუღლის წინააღმდეგ დაიწყეს პატარკაცული ქმედებები“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ამასთან, მან დარბაზი დატოვა და შუამდგომლობა წარადგინა, რომ დაცვის მხარეს მიეცეს საშუალება, 26 მაისის საქმეზე დასაკითხ მოწმეებს წარუდგინოს ვიდეომასალები. ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ წინა პროცესზე აღნიშნულ შუამდგომლობაზე მოსამართლემ უარი თქვა. მერაბიშვილი იმედოვნებს, რომ ეს უარი გაუგებრობა იყო, ახლა კი დაცვის მხარეს მიეცემა საშუალება, მოწმეებს, რომლებიც პროცესებზე დაიკითხებიან, წარუდგინონ ვიდეომასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ფოტომასალა, რომელიც ამოღებული იქნება გადაღებული ვიდეოებიდან.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია პროკურატურაში დაკითხვაზეა დაბარებული.

„ინტერპრესნიუსი“

დაუბეგრავ მინიმუმს შესაბამისი პირები მეორე და მესამე კვარტლის განმავლობაში მიიღებენ

როგორც ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა განმარტა, დაუბეგრავი მინიმუმი დაუბრუნდება იმ ადამიანებს, რომელთა შემოსავალი 2013 წლის განმავლობაში არ იყო 6 000 ლარზე მეტი. მისივე თქმით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს უკვე აქვს დაზუსტებული ბაზები, რომელ ადამიანს დაუბრუნდება თანხა და ვის არ დაუბრუნდება. **„დაახლოებით, 170 მლნ ლარი დაბრუნდება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, მანამდე შემოსავლების სამსახური წინასწარ გამოაცხადებს და ადამიანები, რომლებსაც დარიცხული შემოსავალი 6 000 ლარზე ნაკლები ჰქონდათ, უნდა მივიდნენ ნებისმიერ კომერციულ ბანკში, წარადგინონ მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ბანკის თანამშრომელი ბაზაში ინფორმაციას გადაამოწმებს და თუ ადამიანი მოთხოვნას აკმაყოფილებს, მის ანგარიშზე უახლოესი, ალბათ, მეორე და მესამე კვარტლის განმავლობაში დაირიცხება 360 ლარი მაქსიმუმ, ანუ 150 ლარი თვეში არის გათავისუფლებული გადასახადისაგან და აღნიშნული 150 ლარის 20% გამრავლებული 12-ზე, არის 360 ლარი, რომელიც დაუბრუნდება ადამიანებს მეორე და მესამე კვარტლის განმავლობაში“,** — განაცხადა ხადურმა და დასძინა, რომ საგადასახასდო კოდექსი დეკლარირების ვალდებულებას 1 აპრილამდე ითვალისწინებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ის ადამიანები, რომელთა შემოსავალი 500 ლარია, თვითონ დეკლარირებას არ აკეთებენ, მათ ნაცვლად ინფორმაციას ბანკებს ფინანსთა სამინისტრო მიაწვდის. ცნობისთვის, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 6 000 ლარს არ აღემატება, დაუბეგრავი მინიმუმის შეღავათით ისარგებლებენ და წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი საარსებო მინიმუმის 20%-ს უკან დაიბრუნებენ.

„პია“

საქართველო მდინარე ფსოუზე სასაზღვრო ზონის შექმნის გადაწყვეტილებით შეშფოთებულია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ შექმნილი საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილების გამო, რომელიც 2014 წლის 20 იანვრიდან 21 მარტამდე მდინარე ფსოუზე სასაზღვრო ზონის შექმნას გულისხმობს. ამის შესახებ საქართველოს საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ და შეასრულოს მასზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ შექმნილი საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილების გამო, რომელიც გულისხმობს 2014 წლის 20 იანვრიდან 21 მარტამდე მდინარე ფსოუზე სასაზღვრო ზონის შექმნას. აღნიშნულმა უკანონო ქმედებამ განაპირობა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 11 კილომეტრით საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში გადმოწევა. საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე სასაზღვრო ზონის შექმნა, საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე, კიდევ ერთხელ ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, წარმოადგენს რუსეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეშ დარღვევას. აღნიშნული უკანონო ქმედება განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმ ფონზე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ გრძელდება მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების გავლების პროცესი, მნიშვნელოვნად იზღუდება ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების უფლება და მიმდინარეობს სამხედრო კონტინგენტის გაზრდა. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ და შეასრულოს მასზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები, უპირველეს ყოვლისა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები“, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

რა მოხდა TV 3-ში?



რატომ დატოვა არხის გენერალური დირექტორის პოსტი კახა ბაინდურაშვილმა და რას აპირებს გრიგოლ ბაიბურთი?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კახა ბაინდურაშვილმა ტელეკომპანია TV 3-ის გენერალური დირექტორის პოსტი ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყოფილ უფროსს, გრიგოლ ბაიბურთს გადააბარა. რა ხდება TV 3-ში, რას ნიშნავს ეს ცვლილება, რა მიზეზით დატოვა არხის გენერალური დირექტორის სავარძელი სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა კახა ბაინდურაშვილმა ან სად განაგრძობს მოღვაწეობას? რატომ დატოვა ტელეკომპანია ინგა გრიგოლიამ? ექსკლუზიურ ინტერვიუში, „ვერსიის“ კითხვებს, უშუალოდ, ადრესატები — კახა ბაინდურაშვილი და გრიგოლ ბაიბურთი უპასუხებენ.

კახა ბაინდურაშვილი ბეჭდვური მედიის აღორძინებას გეგმავს

კახა ბაინდურაშვილი ტელეკომპანიის დამფუძნებლად რჩება და, შესაბამისად, აქციების 9%-ს მომავალშიც შეინარჩუნებს, თუმცა მედიის განვითარებას ტელევიზისგან განსხვავებული მიმართულებით აპირებს — დაკნინებული ბეჭდვური და ინტერნეტმედიის გამოცოცხლება სურს. მიაჩნია, რომ გაზეთს გაცილებით მეტი როლი და ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რადგან ცივილურ სამყაროში პოლიტიკურ ამინდს „უოლსთრით ჯორნალი“ და „ვაშინგტონ პოსტი“ ქმნის და არა „სი ენ ენი“ ან თუნდაც „ბი ბი სი“. ექსკლუზიურ ინტერვიუს კი ცხელი და აქტუალური თემით ვიწყებთ.

— ბატონო კახა, ტელეკომპანია TV 3-ის გენერალური დირექტორის პოსტი იმიტომ დატოვეთ, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ რადიოსიხშირის ლიცენზია შეგიჩერათ?

— ეს არაფერ შუაშია, რეალურად, ტელევიზიის აწყობის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, ყველაფერი დაკომპლექტებულია და მზადაა. ამას ახლა კარგი მენეჯერი სჭირდება, რომელიც ტელეკომპანიას მიხედავს. ყველაზე რთული ეტაპი ტელევიზიის ჩამოყალიბებაა, მაგრამ როდესაც არხი უკვე მუშაობს, მისი მართვა გაცილებით ადვილია.

— პირველ ეტაპზე, ეს სირთულე საკუთარ თავზე აიღეთ?

— დიახ, რადგან, იმ ეტაპზე, მხოლოდ კარგი მენეჯერი საკმარისი არ იქნებოდა. უმჯობესი იყო, ისეთ ადამიანს ემუშავა, რომელიც ჟურნალისტებსაც კარგად იცნობდა, ეკონომიკასა და ბიზნესშიც ერკვეოდა. ამ ეტაპზე კი, ტელევიზიაში ჩემი 24-საათიანი მოცდენა აღარ ღირს.

— კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ თქვენ, როგორც სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს, უფლება არ გქონდათ, ტელევიზიის გენერალური დირექტორი ყოფილიყავით. ასეთი შეუსაბამობა მართლაც არსებობდა?

— გარკვეულწილად, ეს ყველაფერი პოლიტიკურ პროცესებს დაემთხვა. ტელეკომპანიის დამფუძნებლების მიმართ, ერთ, კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს არაჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდა და ეს პროცესი ყველამ საჯაროდ ნახა...

— ყვითელი თუ მწვანე ავტობუსების ტენდერთან დაკავშირებით, თქვენს ტელევიზიაში ჟურნალისტური გამოძიება მომზადდა, რის გამოც, გიგი უგულავამ შეგიქმნათ პრობლემა და იმის თქმა გინდათ, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიაც მას აჰყვა?

— ამ თემით სპეკულირებას არ დავიწყებ, მით უმეტეს, არავის მიმართ გამოვთქვამ დაუსაბუთებელ ეჭვებს, მაგრამ ფაქტია — ეს ყველაფერი დროსა და სივრცეში, ერთმანეთს დაემთხვა. რაც შეეხება თქვენს წინა კითხვას, 2011 წლიდან, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ვარ და ახლა, მოულოდნელად, როგორ „გაიგეს“ ეს ამბავი? 2011 წლიდან დღემდე, ათასობით ნიუსია გასული და უამრავი ინტერვიუ მაქვს მიცემული, როგორც პალატის პრეზიდენტს, კანონმდებლობით, საჯარო ინფორმაციები ადმინისტრაციულმა ორგანომ ინფორმაციად უნდა მიიღოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში არავინ და არაფერი შეცვლილა და, შესაძლოა, ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ერთი ჯგუფის ინსტრუმენტი თქვენს წინააღმდეგ?

— გიმეორებთ, ამ თემით სპეკულირება არ მინდა, მაგრამ ეს კითხვები ბუნებრივია და ვფიქრობ, მომავალში პასუხის გაცემასაც შევძლებთ, რადგან ბევრი რამ გაირკვევა. ისევ შეუსაბამობის თემას დავუბრუნდები — ბუნებრივია, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები... როდიდან გახდა სავაჭრო-სამრეწველო პალატა ხელისუფლების ორგანო ან რატომ მიაჩნიათ, რომ მთავრობის წევრი ვარ, არ მესმის?! სავაჭრო-სამრეწველო პალატა, წევრობაზე დაფუძნებული, საჯარო სამართლის კორპორაციაა. ანალოგიური სტატუსი საქართველოში მხოლოდ პალატას აქვს და, შესაძლოა, ესეც გახდა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაუგებრობის მიზეზი. ამ სტატუსის საერთაშორისო ანალოგიები არსებობს, ყველა ქვეყანაში ეს ჩვეულებრივი ბიზნესგაერთიანებაა, უბრალოდ, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ლეგიტიმაციის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე რომელიმე ბიზნესგაერთიანებისა.

— თუ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს უფლება აქვს, ტელეკომპანიის დირექტორიც იყოს, მაშინ პოსტი რა მიზეზით დატოვეთ?

— თავიდანვე ვამბობდი, რომ საქართველოში მედიასთან დაკავშირებული საკითხები ზედმეტად პოლიტიზებულია, მაგრამ, ბუნებრივია, ძველი ინერციიდან გამომდინარე, ამის ობიექტური საფუძვლებიც იყო. როგორც ბიზნესის სხვა დარგებს, ტელევიზიასაც სწორედ ამ თვალსაზრისით ვუყურებ, რადგან აქედან შემოსავალს ვიღებთ. მიზეზი მარტივი და სრულიად აპოლიტიკურია, რადგან უამრავი სხვა პროექტის განხორციელებას ვაპირებთ. მაგალითად, ბეჭდვური მედიის — პრესისა და ინტერნეტგამოცემების განვითარება გვინდა. მოუცლელობის გამო, ამას ნაკლებ დროს ვუთმობდი. ქართულენოვან გაზეთ „მონიტორის“ 4 საპილოტე ნომერი უკვე გამოვუშვით, გვინდა, ინგლისურენოვანი გაზეთი „კომერშალი“ ფეხზე დავაყენოთ და ჟურნალის გამოშვებასაც ვაპირებთ. სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ბეჭდვურ მედიაში დიდი კონკურენციაა, მაგრამ თავისუფალი ნიშებიც არსებობს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგად, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გაიზრდება, რაც, საბოლოო ჯამში, ბეჭდვური მედიის როლსაც გაზრდის. დღეს ადამიანს გაზეთის შეძენის საშუალება არ აქვს, მაგრამ, როდესაც მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, ამას თავისუფლად მოახერხებს. განვითარებულ ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა, სადაც ბეჭდვურ მედიას უდიდესი როლი აქვს.

> **საქართველოში ბეჭდვური მედია საგრძნობლად დაკნინებულია, მაგრამ დასავლეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, სამომავლოდ, მისი ფუნქცია და როლი გაიზრდება. ტელემაუწყებლობა სულ სხვა ტიპის ინფორმაციის გავრცელებას მოითხოვს, ერთწუთიან სიუჟეტში თემას ვერ გაშლი, ბეჭდვური მედიის შემთხვევაში კი, პირიქით, თემების გაცილებით სერიოზულად გაშლა შეიძლება. ბევრმა ფაქტორმა, მათ შორის, გაზეთის გამოწერის ინსტიტუტის მოშლამ, ბეჭდვური მედია დააკნინა, ამიტომ ვფიქრობ, მას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. სამომავლოდ, ტელევიზიის ხვედრითი წილი შემცირდება, ბეჭდვური და ინტერნეტმედიის როლი კი გაიზრდება.**

ახლა ძნელია თქმა, ერთ წელიწადში მოხდება ეს თუ ორში, მაგრამ ტენდენცია ნამდვილად ასეთი იქნება. აი, ამ საკითხებზე ვაპირებ მუშაობას და, პარალელურად, ვეცდები, ინგლისურენოვანი გაზეთი გავაძლიერო, ქართულენოვანში კი ეკონომიკასა და ბიზნესზე ორიენტაციით, ჩვენი ნიშა მოვნახო, მაგრამ თქვენ მშვიდად იყავით, „ვერსიის“ კონკურენტები ნამდვილად არ ვიქნებით.

— ამიტომაც გადაწყვიტეთ, არხის გენერალურ დირექტორად გრიგოლ ბაიბურთი მოგეწვიათ?

— მხოლოდ მე არა, ეს TV 3-ის დამფუძნებლების ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. პირობითად, წლის ბოლოს ან გაისად, როდესაც ჩვენი გაზეთებიც გარკვეულ ეტაპს გაივლის, ანუ შევხედავთ, რომ მათი პოზიციონირება დასრულდა და ნორმალურად მუშაობს, არ გამოვრიცხავ, გაზეთებსაც საკუთარი, ახალი მენეჯმენტი ჰყავდეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ბიზნესის ყველა დარგში ასე ხდება, როდესაც კომპანია ფეხზე დგება, უშუალოდ, წამყვანი პირები მართვაში აღარ იხარჯებიან და ყოველდღიურ, რუტინულ სამუშაოზე არ ცდებიან.

— გაუგებარია, ან რატომ მოიწვიეთ ინგა გრიგოლია, ან რამდენიმე თვეში, რატომ დატოვა ტელეკომპანია?

— ინგა მაღალრეიტინგული, პროფესიონალი ჟურნალისტია. როდესაც შენი ტელევიზიის შესახებ არავის არაფერი სმენია დედამიწის ზურგზე, გინდა, ისეთი ადამიანი მოიწვიო, რომელიც მხოლოდ მაღალ რეიტინგს კი არა, ტელევიზიის შესახებ ინფორმაციასაც სწრაფად გაიტანს საზოგადოებაში. ჩემი აზრით, კომერციული თვალსაზრისით, ინგას მოწვევა სწორი და კარგი ნაბიჯი იყო. წასვლით კი იმიტომ წავიდა, რომ როგორც ჩანს, „იმედზე“ უფრო კომფორტულად გრძნობს თავს და ამაში ტრაგედიას საერთოდ ვერ ვხედავ. ზედმეტი კონსპირაციების ძებნა, რატომ მოვიდა ან რატომ წავიდა, გაუმართლებელია. როგორ გგონიათ, ნებისმიერ ჟურნალისტს რომ შესთავაზოთ უკეთესი და კომფორტული პირობები, არ დაგთანხმდებათ? აუცილებლად დაგთანხმდებათ და ეს ტრაგედია არ არის. ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ჟურნალისტები აქეთ-იქით გადადიან, ბოლოს და ბოლოს, იმ ადგილზე ჯვარი ხომ არ აქვთ დაწერილი?

— კი, მაგრამ კონტრაქტში არსებული სამართლებრივი საკითხები?

— რა პრობლემაა, ესეც დარეგულირდება. ახლა ამ საკითხებში აღარ ვარ ჩართული, რადგან ამას უკვე არხის მოქმედმა დირექტორმა უნდა მიხედოს.

— ადრე განაცხადეთ, რომ ტელეკომპანია „იმედს“ საკმაოდ დიდი კომპენსაციის გადახდა მოუწევდა იმის გამო, რომ ინგა გრიგოლია გადაიბირა, ეს განცხადება ძალაში რჩება?

— ტელევიზიის სახელით, განცხადებას უკვე აღარ გავაკეთებ, რადგან ეს ჩემი თემა არ არის. TV 3-ს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ამ საკითხს მიხედავს.

— რა პრინციპით შეარჩიეთ გრიგოლ ბაიბურთის კანდიდატურა TV 3-ის გენერალურ დირექტორად?

— კანდიდატურებზე ბევრი ვიმსჯელეთ, მაგრამ, როგორც კარგი მენეჯერი, გრიშა სწორედ ამ პრინციპით შევარჩიეთ. პირადად მქონდა მასთან მუშაობის გამოცდილება და კარგად ვიცი, რა დონის მენეჯერია.

— ტელევიზიის საქმიანობაში, მენეჯმენტსა და შიდაპოლიტიკაში აღარ ჩაერევით?

— დამფუძნებელი იმ ფორმით ერევა ტელეკომპანიის საქმიანობაში, როგორც ეს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. მთელი რიგი საკითხებია, რასაც დირექტორი ვერ გადაწყვეტს, რადგან ამას დამფუძნებელთა საერთო კრება და ოთხივე დამფუძნებლის ხელმოწერა სჭირდება. რაც შეეხება არხის მენეჯმენტსა და შიდაპოლიტიკას, არანაირად არ ჩავერევი, მით უმეტეს, ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე — ყოველთვის უნდა მისცე ადამიანს საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს კონკრეტული საკითხი, რათა დამოუკიდებლად იმოქმედოს.

გრიგოლ ბაიბურთი TV 3-ში ცვლილებებს არ გეგმავს

მენეჯერად მუშაობის გამოცდილება 2006 წლიდან აქვს. ჯერ ეკონომიკის სამინისტროს პრივატიზების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი იყო, შემდეგ ფინანსთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილე და მომსახურების სააგენტოს უფროსი. ამ სააგენტოს რეფორმა, ელექტრონული აუქციონები და გამარტივებული მომსახურება მისი დამსახურებაა. მედიაში გამოცდილება არ აქვს, მაგრამ „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, გრიგოლ ბაიბურთი აცხადებს, რომ ტელეკომპანია მისთვის სრულიად ახალი სფერო იყო, რომლითაც დაინტერესდა და, როდესაც დამფუძნებლებმა არხის გენერალური დირექტორის პოსტი შესთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდა.

— ბატონო გრიგოლ, აპირებთ თუ არა ტელეკომპანია „იმედს“ სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოსთხოვოთ იმის გამო, რომ TV 3-დან ინგა გრიგოლია წაიყვანა?

— ამ თემაზე ჯერ არც ერთ დამფუძნებელთან არ მისაუბრია. სიმართლე გითხრათ, ჩემი პირველი სამუშაო დღეა (ინტერვიუ ორშაბათს, 20 იანვარს შედგა, — ავტ.) და, შესაბამისად, ჯერ კონტრაქტიც კი არ მინახავს, ამიტომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, თუმცა გპირდებით, აუცილებლად გადავხედავ კონტრაქტს, ტელეკომპანიის დამფუძნებლებთან კონსულტაციებს გავივლი და შესაბამის ზომებსაც მივიღებ.

— თქვენ მართლაც კარგი მენეჯერი ხართ, მაგრამ მედიაბიზნესში რა გამოცდილება გაქვთ?

— ცხადია, ტელეკომპანიის სპეციფიკა განსხვავებულია. რეალურად, სადაც მიმუშავია, არც ერთი უწყების სპეციფიკა არ ჰგავდა ერთმანეთს. 2006 წლიდან მენეჯერის პოზიციაზე ვმუშაობდი ჯერ ეკონომიკის, შემდეგ კი ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და ყოველთვის ვიყავი მენეჯერი, რომელიც ინოვაციურ პროექტებზე იყო ორიენტირებული. ვფიქრობ, ყველაფერი, რაც წამოვიწყეთ, ლოგიკურ შედეგამდე წარმატებით მივიყვანეთ, რადგან ყველა პროექტი, რომელსაც აქამდე ვხელმძღვანელობდი, დღემდე აქტუალურია.

დასასრული მე-4 გვერდზე

ავტორიტარული რეჟიმები მედიის კონტროლის სტრატეგიას ხვეწენ

ედრობერტ ორტუნგი, კრისტოფერ უოკერი
Journal of Democracy

2013 წლის 9 დეკემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, ყველას გასაკვირად, ხელი მოაწერა განკარგულებას გავლენიანი სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს „რია ნოვოსტის“ დახურვის შესახებ. „რიას“ ნაცვლად, ახალი საინფორმაციო სამსახური შეიქმნება, რომელსაც უხელმძღვანელებენ ტელეარხ RT-ის მთავარი რედაქტორი მარგარიტა სიმონიანი, უცხოური პროპაგანდის სტრუქტურები და ოდიოზური ტელეწამყვანი დიმიტრი კისილიოვი. კრემლის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ ნაბიჯის მიზანი „უცხოეთში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკისა და რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი ცხოვრების გაშუქებაა“... მაგრამ მსგავსი რეორგანიზაცია ჰგავს კრემლის მორიგ მცდელობას, აღადგინოს კონტროლი რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. „რია ნოვოსტიმ“ უკვე დიდი ხანია, ისეთი სააგენტოს რეპუტაცია მოიპოვა, რომელიც სულ უფრო მიისწრაფვის მოვლენების დამოუკიდებელი და ანალიტიკური გაშუქებისკენ.



პუტინის მოთმინების ფიალა აივსო. პუტინის რუსეთი ერთ-ერთია იმ ავტორიტარულ რეჟიმებს შორის, რომელთა რიცხვიც იზრდება. ბოლო დროს, მათ ეფექტურად დახვეწეს მედიის კონტროლის სტრატეგიები. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტისა და სოციალური ქსელების პოპულარობა გამალებული ტემპით იზრდება, ჩინეთის, აზერბაიჯანის, ვიეტნამის, ირანის, ზიმბაბვესა და სხვა ქვეყნების მთავრობები პოულობენ გზებს, რათა სახელმწიფო საინფორმაციო რესურსები საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის გამოიყენონ. ისინი საკუთარ მიზნებს აღწევენ შერჩევითი ცენზურისა და სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების ინსტრუმენტად გამოყენების გზით ძირითად აუდიტორიაზე გავლენის მოსახდენად. კუბას, ჩრდილოეთ კორეასა და თურქმენეთს თუ არ ჩავთვლით, თანამედროვე ავტორიტარული რეჟიმების უმრავლესობა არ ცდილობს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების ტოტალურ კონტროლს. ამის ნაცვლად, ისინი ცდილობენ, „მედიაზე ეფექტური კონტროლი“ მოიპოვონ, რაც მათ საკუთარი გავლენის უზრუნველყოფის, საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმურობის განმტკიცებისა და, იმავდროულად, პოტენციური კონკურენტების ყველა ძალისხმევის განულების საშუალებას მისცემს. სახელმწიფოს ასეთი გაბატონებული გავლენის პირობებში რეჟიმებს შეუძლიათ, თავს მოახვიონ აუდიტორიას მოვლენების პროსამთავრობო ინტერპრეტაცია და გამოიყენონ რედაქტირების ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ხელისუფლების საქმიანობისა და პოლიტიკის მიმართ კრიტიკის მასშტაბები შეზღუდონ.

როგორ ახერხებენ გადარჩენას სახელმწიფო საინფორმაციო სისტემები (ტელევიზიები, გაზეთები, რადიო და მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალებები, რომელთაგან ყველა დაცულია პოლიციისა და სასამართლოს მიერ) ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების გამალებული პროგრესის ეპოქაში? ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ, თუკი ყურადღებას მივაპყრობთ საკვანძო აუდიტორიებს, რომელზეც ჩვეულებრივ ცდილობენ ხოლმე გავლენას სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები.

პირველი აუდიტორია — რეჟიმის ელიტა. ავტორიტარულ მთავრობებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა ჰყავდეთ საკუთარი ელიტები, რადგან ნებისმიერმა განხეთქილებამ ამ ჯგუფის შიგნით, შეიძლება, რეჟიმი დაანგრიოს, ამიტომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პრესის მისიაა, ხელისუფლების ამ საყრდენის ცნობიერებაში მოქმედი მმართველის ურყევობის შესახებ მითი განამტკიცოს. პრესა მკაფიო გზავნილებს უგზავნის მმართველი კოალიციის წევრებს, რომ დეზერტირები სასტიკად დაისჯებიან, მათ შორის, შავი პიარის მეთოდებითაც. მაგალითად, ჩინეთში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მედიაზე თავის გავლენას იმისთვის იყენებს, რომ საკუთარი პოზიციები განამტკიცოს პარტიის რიგით წევრებში, სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატში, შეიარაღებულ ძალებსა და პროპარტიულ ბიზნესსაზოგადოებაში.

მეორე საკვანძო აუდიტორია — მოსახლეობა. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პრესა მუშაობს იმაზე, რომ მასობრივი მაყურებელი პატივს სცემდეს და ეშინოდეს მოქმედი რეჟიმის, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ადამიანებში აპათიისა და პასიურობის დანერგვას. საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, ავტორიტარულ რეჟიმს აუცილებლად სჭირდება, ადამიანთა დიდი მასები პოლიტიკას მაქსიმალურად დააშოროს. სახელმწიფო მედიასაშუალებები კი მთავარი ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად ისეთ საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობის ინფორმაციას ტელევიზიით იღებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში დამოუკიდებელი პრესა პოლიტიკის სასიცოცხლო ძალაა. ავტორიტარული რეჟიმების პირობებში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია მიისწრაფვის საზოგადოებრივი აქტივისტების სრული იზოლაციისაკენ, რათა არ მისცეს მათ ორგანიზაციების შექმნის ან მასების მობილიზების საშუალება. ამ მიზნით, სახელმწიფო პრესა საზოგადოების თვალში პოლიტიკური ალტერნატივის ნებისმიერი გამოვლენის დისკრედიტებას ცდილობს. სახელმწიფოს მედიის თავდასხმები სამოქალაქო საზოგადოებას და ოპოზიციას ლეგიტიმურობას აცლის, უხსნის გზას შემდგომ რეპრესიულ ზომებს, იმავდროულად, აბრალებს ოპოზიციონერებს ქაოსის დანერგვისკენ მისწრაფებას — ასეთი ბრალდება რეზონანსულია ისეთ საზოგადოებებში, რომელსაც პოლიტიკური არასტაბილურობის მდიდარი ისტორია აქვს.

მესამე აუდიტორია — რიგითი ინტერნეტმომხმარებლები. ქსელის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ავტორიტარული რეჟიმები მიხვდნენ, რომ ინტერნეტის კონტროლი აუცილებელია, თუმცა მედიაში პოლიტიკური კონტენტის მართვა და მსგავსი ინფორმაციის ქსელში კონტროლი, ერთი და იგივე არ არის. ამ მიზნის მისაღწევად ავტორიტარული რეჟიმები თავიანთი განზრახვების სერიოზულობას და ინოვაციურობას ავლენენ. ჩინეთის მთავრობამ ცენზურის ინსტრუმენტები დახვეწა, შეზღუდა რა ონლაინ-კონტენტი, რომელსაც სოციალური მობილიზება შეუძლია, დაიწყო სასტიკი თავდასხმები არაფორმალური ლიდერების ბლოგებზე. როგორც ტრადიციულ მედიაში, ინტერნეტშიც, შეზღუდვები მიმართულია არა იმისკენ, რომ სრულად დაიბლოკოს ინფორმაცია, არამედ იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ახალმა ამბებმა ან ინფორმაციამ რეგულარულად ვერ მიაღწიოს საკვანძო აუდიტორიამდე.

ავტორიტარმა მმართველებმა იციან, რომ გადარჩენისათვის მათ კონტროლირებადი მედია სჭირდებათ. თუკი ერთხელ მაინც დააწესებ სასტიკ კონტროლს პრესაზე, მისი შესუსტება აღარ შეიძლება, რადგან ეს არსებულ რეჟიმს საფრთხეს შეუქმნის. ავტორიტარი მმართველები შეგნებულად ართმევენ ასობით მილიონ ადამიანს უფლებას, ხელი მიუწვდებოდეთ ჭეშმარიტად პლურალისტულად და დამოუკიდებლად გაშუქებულ და გაანალიზებულ მოვლენებზე. განსაკუთრებულმა ინტერესმა ბოლო წლებში ახალი მედიის გაჩენის მიმართ გამოიწვია ის, რომ ბევრი სათანადოდ ვერ აფასებს ტელევიზიას, როგორც არადემოკრატიულ ძალას ავტორიტარულ რეჟიმებში. თუმცა, ტრადიციულ მედიასაშუალებებზე კონტროლითა და ახალ მედიაში პოლიტიკური კონტენტის ბლოკირების შესაძლებლობის გაძლიერებით, ავტორიტარული რეჟიმები ხელს უწყობენ ისეთი ცნების აბსოლუტურად ახალი შინაარსის ჩამოყალიბებას, როგორიცაა breaking the news („ახალი ამბების მიწოდება“).

ეს სტატია შემოკლებული ვერსიაა ესეის, რომელიც Journal of Democracy-ის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.

foreignpress.ge

ექსკლუზიური ვერსია

რა მოხდა TV 3-ში?

მე-3 გვერდიდან

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ტელევიზიასაც თავს გავართმევ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ინტერესი დიდია. პრინციპში, ტელევიზიის ძირითადი ნაწილი შემდგარია, ახლა მისი განვითარებაა საჭირო, რაც საკმაოდ საინტერესოა ჩემთვის, ამიტომ ტელევიზიასაც და მის მომავალსაც ოპტიმისტურად ვუყურებ.

— სიმართლე გითხრათ, თქვენი დანიშვნა არ გამკვირვებია, რადგან კახა ბაინდურაშვილთან ერთად, ფინანსთა სამინისტროში დიდხანს მუშაობდით, მაგრამ ამ ცვლილების მიზეზი რა იყო?

— მე დაქირავებული მენეჯერი ვარ, რომელიც პროცესებს მართავს და ჩემი ამოცანა მხოლოდ ეს არის.

— ახალი წლიდან TV 3-ში გარკვეული ცვლილებები იგეგმება, ხომ?

— საინფორმაციო გამოშვების ბადე შეიცვალა.

20 იანვრიდან, პირველი საინფორმაციო გამოშვება 20.00 საათზე გადის, რომელიც ნანა ლეჟავას მიჰყავს. 21 იანვრიდან, ტელევიზიამ ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძო მუშაობა და საინფორმაციო გამოშვება დღეში ოთხჯერ გავიდა ეთერში. მომავალი კვირიდან, ფორმატი შეიცვლება და მთავარი საინფორმაციო გამოშვება, რომელიც 20.00 საათზე გავა, ერთგვარი შემაჯამებელი გადაცემა იქნება, სადაც სტუმარი გვეყოლება, რაც უფრო ინტერაქტიულს გახდის საინფორმაციოს. რაც შეეხება სატელევიზიო გადაცემებს, დაახლოებით, 10 გადაცემა უკვე შექმნილია, რომლებიც სხვადასხვა ფოკუსჯგუფებზეა მორგებული და ვფიქრობთ, უახლოეს პერიოდში გავუშვებთ.

მაქსიმუმ, ერთ თვეში, ჩვენი ეთერი ძალიან ცოცხალი და საკმაოდ საინტერესო იქნება მაყურებლისთვის.

— საგამოძიებო ჟურნალისტიკა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რჩება?

— დიახ, ჯამში, სამი გადაცემა გვაქვს, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებას ეხება და უახლოეს მომავალში, სამივე გავა ეთერში. ვფიქრობ, საგამოძიებო ჟურნალისტიკა ჩვენი ტელევიზიის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია და, შესაბამისად, არც ერთი მათგანის შეჩერებას არ ვაპირებთ.

— ტელეკომპანიის თანამშრომლებს შორის გარკვეული ცვლილებები ხომ არ იგეგმება, ან აპირებთ თუ არა რომელიმე ცნობილი სახის დამატებას?

— ამაზე საუბარი ნაადრევია. რაც შეეხება სახეებს, მედიაბიზნესში კარგად გარკვეული არ ვარ, მაგრამ მაყურებლის ამპლუაში, ხშირად ვხედავდი სხვადასხვა ტელესახეების როტაციას, რაც ბუნებრივი პროცესია. ბოლოს და ბოლოს, მთავრობის წევრები იცვლებიან და რა პრობლემაა, ჟურნალისტებს შორისაც არსებობდეს ამგვარი ცვლილებები? რაც შეეხება ტელეკომპანიის გუნდს, არავითარ ცვლილებას არ ვგეგმავთ, ყველა შეინარჩუნებს თავის პოზიციას. რა თქმა უნდა, ვფიქრობთ ახალ გადაცემებზე და, შესაბამისად, ახალ სახეებზეც, რაც პერმანენტული სამუშაო რეჟიმია.

— ტელეკომპანია TV 3 ბიზნესსა და ეკონომიკაზე ორიენტირებული უნდა ყოფილიყო, ამ მიმართულებას შეინარჩუნებთ?

— დღემდე ჩვენს ამოცანად რჩება და მიზანიც ის არის, რომ TV 3 ბიზნესსა და ეკონომიკაზე ორიენტირებული არხი იყოს, ოღონდ ამის მოკლევადიან პერიოდში ჩამოყალიბება რთულია. ჩვენ ყოველთვიურად დავამატებთ ახალ კომპონენტს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით, მაგრამ რა ტიპის ტელევიზიაც უნდა იყოს, ვფიქრობ, მას საინფორმაციო გამოშვება უნდა ჰქონდეს. ფაქტია, საქართველოში საკმაოდ პოლიტიკური საზოგადოებაა, რომელსაც ბიზნესთან ერთად, პოლიტიკა აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, კონცეფცია არ იცვლება და საბოლოოდ, საზოგადოება ბიზნესსა და ეკონომიკაზე ორიენტირებულ ტელევიზიას მიიღებს.

— ბატონო გრიგოლ, ცალკეული ჟურნალისტები ბრალს გდებენ იმის გამო, რომ ეკონომიკის სამინისტროში მუშაობის დროს, საგამომცემლო სახლი „სამშობლო“ უამრავ მედიასაშუალებას დაატოვებინეთ...

— ამ თემაზე საუბარი არ მინდა, რადგან ეკონომიკის სამინისტროში პრივატიზების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ვიყავი. ეს სამმართველო პრივატიზების დეპარტამენტს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს ჩემი გადაწყვეტილება ნამდვილად არ ყოფილა. სად გინახავთ, სამინისტროს სამმართველოს უფროსი, ასეთი მნიშვნელობის გადაწყვეტილებას იღებდეს?

ირაკლი ოქრუაშვილი დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს?!

ეკა სეხნიაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკაში ძალთა ახალი ბალანსი დაიწყება. ერთ-ერთი ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილიც დიდ პოლიტიკაში დაბრუნებასა და გააქტიურებას აპირებს და საკუთარი, თითქმის მკვდრადქცეული პარტიის რეინკარნაციასა და მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას პირადად გეგმავს.

პარტია, რომელიც თეო ტლაშაძის ქოლგის იმედადღაა, სერიოზულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს საჭიროებს. დიდი პოლიტიკა დიდი ავიაცია არაა, რომ ასაკობრივი შეზღუდვები მოქმედებდეს, მაგრამ ოქრუაშვილს დიდ პოლიტიკაში მოსაბრუნებლად ესოდენ შელახული იმიჯი შეუშლის ხელს. არადა, „ოქროს“ არც ფული უჭირს და სააკაშვილის ხელისუფლებიდან ნაშოვნიც ბევრი შეირგო დედის რძესავით, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის წყურვილი არ ასვენებს. სხვა თუ არაფერი, კარგად გვახსოვს, ზარი ბაჩო ახალაიასთან სააკაშვილის მმართველობის დროს აქციებისას, მიტინგს დაგიშლით და მიშას უთხარი, პრემიერად დამნიშნოსო. ოქრუაშვილის სააკაშვილისგან გამიჯვნის რეალური მიზეზიც ხომ სწორედ ეს იყო. ოქრო ძალაუფლებას ეკონომიკის მინისტრის რანგში ვერ გრძნობდა. ახლა კი,

როგორც ამბობენ, კოალიციის შექმნის სურვილიც აქვს და თვითმმართველობის არჩევნებში შიდაქართლში პირადად აპირებს კენჭისყრას, რათა შემდგომ უფრო მაღალი თანამდებობის, გუბერნატორის პოსტი დაიკავოს სამომავლო ტრამპლინისთვის. ცნობილია, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმება იგეგმება და მის საპირწონედ შექმნილი სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი სწორედ არჩეული კანდიდატებიდან შეირჩევა.

მართალია, საქართველოში პოლიტიკოსებს მალე ჩამოაწერენ ხოლმე ცოდვებს, მაგრამ ხალხს არც ისეთი ამნეზია სჭირს, ოქრუაშვილის ნაკეთები საქმეები დავიწყებოდეს. პოლიტიკური ექსპერტებისა თუ უბრალო მოხელეთა აზრით, მისი სახელი შემდეგი უბედურების დამკვიდრებასთან ასოცირდება: ბიზნესში — დაჭერასთან, ღამ-ღამობით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ბიზნესში „ჩაჯდომასა“ და წილების გადაფორმების დამკვიდრებასთან ან უფრო ჟარგონულად „ახევასთან“, ტელეკომპანია „იბერიაში“ ნიღბიანი სპეცდანიშნულების რაზმების შევარდნასთან, ბორდელების ტელეკამერებით ჩამოვლასთან, კამერების წინ დასაჭერ-დაჭერილების საწოლ ოთახში შევარდნასთან, ბუტა რობაქიძის საქმესთან, ჯარში სტრატეგიული დეპარტამენტების გაუქმებასა და გაუმჭირვალე ტენდერებთან, უხარისხო ტექნიკის შეძენასთან, ჟანგიან ტანკებსა და ნეპოტიზმის აყვავებასთან, პროკურატურაში დასაკითხად მისული მოწმეების კაბინეტის აივნიდან გადახტომის მცდელობასთან (ირაკლი ოქრუაშვილის პერიოდში, პროკურატურის შენობიდან ზოოპარკის ყოფილი დირექტორი დავით ნარსია ხტებოდა).

პარტიულ პოლიტიკაში: ავანტიურიზმთან, თანაპარტიელების მიერ გაფარჩაკებასა და ტყუილებში მხილებასთან, ერთმანეთის დასმენასა და ფულის მოტეხვასთან, უფრო დიდ პოლიტიკაში ტყუილ დაპირებებთან, პოპულისტობასა (ხან გმირად თავის წარმოჩინება, ხანაც ცრემლმორეული სიტყვების უკან წაღება, ხან ჟვანიას, ხანაც პატარკაციშვილის საქმეებით მანიპულირება და კვამლის გამოშვება) და წითელ ხიდზე ჩამოსვლის ფუჭ იმედებთან. მოკლედ, „ოქროს“ ბაქიბუქს ფასი პოლიტიკაში დიდი ხანია ლარის კურსივით დაუვარდა. ერთხანს, მას „ტერორის მამასაც“ უწოდებდნენ, თუმცა შემდგომ ეს პოლიტდევნას მიაწერეს და ახლა მას დიდი შრომა დასჭირდება, რომ რამენაირად ჯერ მოქმედ პოლიტიკურ სპექტრთან გამონახოს ენა, მერე ამომრჩეველი დაარწმუნოს, რომ „ბუა“ და „ტერორის ფუძემდებელი“ არაა ქართულ პოლიტიკაში.

ჯერ საქმე მხოლოდ პოლიტიკური კონსულტაციების დონეზეა, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ თავად ოქრუაშვილი აპირებს, კენჭი გორის რაიონიდან იყაროს, საიდანაც წარმოშობითაა. მართალია, ოქრუაშვილი დიდად არც გორელებს ეხატებათ გულზე. კარგად ახსოვთ გორელ ბიზნესმენებს მისი და მისი გუბერნატორი „ბიჭის“, ქარელის „საქმენი საგმირონი“, თუმცა მშობლიური ტყვიავი მაინც ერთადერთი ადგილია ოქრუაშვილისთვის, საიდანაც ფერფლიდან აღდგენას ეცდება.

არიან ისეთებიც, რომლებიც ოქრუაშვილის იქ დაბრუნებას უჭერენ მხარს, სადაც ის თბილისის აეროპორტიდან მიაბრძანეს გლდანის საპყრობილეში. იმ ჯარისკაცების ოჯახები, რომლებიც ოქრუაშვილის მინისტრობის დროს სამხედრო ნაწილებში აწამეს, ფული გამოსძალეს და დაჭრეს. ამ ფაქტების შესახებ მასალები ომბუდსმენის, ჯერ კიდევ სოზარ სუბარისდროინდელი აპარატიდან, მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ორგანოს რეაგირებისთვის გადაუგზავნეს. მათ შორისაა, მეოთხე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცის, გიორგი შარიქაძის, ჯარისკაც ვალერი სარიშვილის, ჯარისკაც ზვიად ბელთაძის საქმე და ა.შ. ჯარისკაცების დამცირების, ცემისა და დაჭრის ფაქტები ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდში. ეს და სხვა მაკომპრომეტირებელი მასალები დღეს მოქმედ ხელისუფლებასაც აქვს გადანახული. ამას გარდა, პროკურატურაში საჩივრების შეიტანა იმ ბიზნესმენების ნაწილმაც გადაწყვიტა, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის ზენიტში ყოფნის პერიოდში დაზარალდნენ. შესაძლოა თუ არა ოქრუაშვილის ხელახლა დაბარება პროკურატურაში, ამას დრო აჩვენებს.

ვის დაიყენებს ამჯერად გვერდით იმიჯშელახული ოქრუაშვილი, რომელსაც პარტიული რგოლებიდან თითქმის აღარავინ შემორჩა, მხოლოდ ბიძაშვილ-მამიდაშვილების ხარჯზე პარტიის აღდგენა ხომ ვეღარ გამოუვა?! რა თქმა უნდა, იქ აღარ წავა ეკა ბესელია, რომლის ინტერვიუებიდანაც კარგად გვახსოვს, როგორი ინტრიგები მოუწყვეს ერთხელ უკვე ოქრუაშვილის „ქართულ პარტიაში“. მაშინ ბესელია თეო ტლაშაძის მისამართით იმასაც ამბობდა, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ შავი პიარის ასაგორებლად ამუშავებდნენ, „გასაფუჭებელ“ ოპოზიციონერთაგან ალასანიას, გაჩეჩილაძესა და ბურჯანაძეს, ხოლო მათი ანტიპიარის სავარაუდო დამკვეთად კი ოქრუაშვილს მიანიშნებდა.

„მრისხანების დღის“ ტყუილებმა, როცა ოქრუაშვილი, თითქოსდა, ჩამოსვლას აპირებდა და ხალხი გადააგდო, პოლიტიკაში ავანტიურისტის სახელი დაუმკვიდრა. მაშინ „მაესტროს“ ეთერში კოკა გუნცაძემ ბლეფი უწოდა იმას, რომ ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ლევან გაჩეჩილაძემ და ნინო ბურჯანაძემ შეუშალეს ხელი. „ქართული პარტიის” ყოფილმა წევრმა, კოკა გუნცაძემ მაშინ პარტიის თანათავმჯდომარეს ირაკლი ოქრუაშვილს „გაფარჩაკებული და გაბახებული კაცი“ უწოდა.

ოქრუაშვილი, მართალია, პარიზში ეიფელის კაფეტერიაში ხვდებოდა მიშაზე განაწყენებულ მაშინდელ ოპოზიციონერებს, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში მაინც ვერა და ვერ დაიმკვიდრა პროდასავლური პოლიტიკოსის იმიჯი — იგი რუსული სპეცსამსახურების წრეებს მიაბეს. პრესა და ანალიტიკოსები ხშირად მიუთითებდნენ მის კავშირებზე რუსეთის ფსბ-ს გავლენიან მაღალჩინოსნებთან, პატარკაციშვილის შტაბის ყოფილი პრესსპიკერი ელისო კილაძე მაშინ ყვებოდა კიდეც, რომ ქართული პარტიის შექმნის დავალება ოქრუაშვილმა ეფესბე-ს მეხუთე განყოფილების ხელმძღვანელ გენერალ სერგეი ბესედასგან მიიღო. ოქრუაშვილი რუსეთის დედაქალაქში ჩაიყვანეს რუსეთის ეფესბე-ს შეფის ალექსანდრ ბორტნიკოვის (რომელიც პუტინის თანაკურსელია) დავალებითო, — აცხადებდა ბადრი პატარკაციშვილის შტაბის ყოფილი პრესმდივანი.

„ოქრუაშვილს ბორტნიკოვის დავალებით შეხვდა ოპერატიული ინფორმაციისა და საერთაშორისო კავშირების სამსახურის ანუ მეხუთე განყოფილების ხელმძღვანელი, არმიის პოლკოვნიკი სერგეი ბესედა. როგორც კი პირველი დავალება მიიღო პარტიის შექმნასთან დაკავშირებით, პირველი შეხვედრა წევრობის კანდიდატებთან გაიმართა შვეიცარიაში და, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, მათი მასპინძელი იყო საქართველოს უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი. სწორედ მის ვილაზე გაიმართა პირველი შეხვედრა“,

— აცხადებდა მაშინ ელისო კილაძე ჩემთან ინტერვიუში. ლაშა ნაცვლიშვილის კოორდინირების შესახებ ინფორმაციაც სწორედ კილაძეს ეკუთვნოდა. იქვე გაჩნდა იგორ გიორგაძესთან და ცხინვალში ვიზიტების თაობაზე „ნიუსები“, ამასაც და ოქრუაშვილის რუსეთში ვოიაჟებსაც მისი პარტიის მაშინდელი წევრები არა ადასტურებდნენ, თუმცა, მოგვიანებით, ოქრუაშვილიც და მისი მაშინდელი პარტნიორი კოტე გოგელიაც მოსკოვში დააფიქსირეს. მათ შორის, რუსული პრესაც წერდა ამის თაობაზე. ამჯერად კი, როგორც ამბობენ, ოქრუაშვილი პოლიტიკურ კონსულტაციებს დაიწყებს სხვა პარტიებთან ან პოლიტპერსონებთან. კავშირები რუსეთზე გავლით, შესაძლოა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც მოიძებნოს. ერთ-ერთი ინფორმაციით, ალიანსზე საუბარი კახა კუკავასა და სხვა, „ოცნებისადმი“ ანტაგონისტურად განწყობილ ძალებთანაც დაიწყება. ოქრუაშვილი რომ სააკაშვილთან შეამხანაგებულ ოპოზიციონერობას თამაშობდა, თავდაცვის ყოფილი მაღალჩინოსნებიც მიუთითებდნენ, მაგალითად, გენერალი ტრისტან წითელაშვილი:

„ოქრუაშვილის ოპოზიციონერობა არასდროს დამინახავს. მართლა ოპოზიციონერი რომ ყოფილიყო, ციხიდან არ გამოუშვებდნენ და საფრანგეთში მოპარულ ფულებს არ გადააქაჩვინებდნენ“.

ასეა თუ ისე, ოქრუაშვილი ახლა პოლიტდევნილის სტატუსის მორგებას ცდილობს, თუმცა გორელებს კარგად ახსოვთ ატენის ხეობაში მდებარე, წეროსხევის „მონადირეთა სახლი“, რომელიც, ლამის, აგარაკად ჰქონდა ქცეული, პოლიტკონსულტაციებსაც მართავდა და საიდანაც გამოსული მოქეიფე მონადირეები ადგილობრივ შინაურ საქონელზე ვარჯიშობდნენ იარაღის სროლაში. მოკლედ, „ქორი“ და „ქორის პარტია“ ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებენ. თინა ხიდაშელის არ იყოს, მკვდრები არ ცოცხლდებიან, მაგრამ ოქრუაშვილი აპირებსო და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ვერსიანიუსი

სააკაშვილი სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სპეციალური მიმართვებითა და ლექციებით წარდება

როგორც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სოციალურ ქსელ Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს, უახლოეს ხანში მისი ხელმძღვანელობით ახალი ამერიკული ინსტიტუტი შეიქმნება.

„სპეციალურად მიხეილ სააკაშვილისთვის, პრესტიჟულმა ფლეტჩერის ინსტიტუტმა პირველად შექმნა ახალი თანამდებობა. მიხეილ სააკაშვილს უკვე ჰქონდა გამოსვლა პრინსტონის უნივერსიტეტში. ასევე, რამდენიმე დღეში იგი მიწვეულია ლექციების წასაკითხად ჰარვარდის უნივერსიტეტში. ამასთან, უახლოეს ხანში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნება ახალი ამერიკული ინსტიტუტი“, – ნათქვამია ყოფილი პრეზიდენტის აცებოოკ გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

„პია“

20 იანვრიდან 21 მარტამდე გაგრის რაიონში სასაზღვრო ზონა იცვლება

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის დადგენილებით, ამ პერიოდში მდინარე ფსოუზე არსებული „სასაზღვრო ზონა“ გაგრისკენ 11 კმ-ით გადაიწევს. ე.წ. სასაზღვრო ზონაში 8 დასახლებული პუნქტი — ბაღრიფში, ხაშპსი, ხიშხა, მახადირი, მკიალრიფში, ლაპსტახა, გიაჩრიფში და ცანდრიფში ხვდება. მოქალაქეებს, რომლებსაც დროის აღნიშნულ პერიოდში „სასაზღვრო ზონაში“ გადაადგილება მოუწევთ, თან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა ჰქონდეთ. ამავე დადგენილების თანახმად, „რესპუბლიკის“ საავტომობილო გზის მე-11 კილომეტრზე გაერთიანებული საკონტროლო პოსტის შექმნა და ფუნქციონირება იგეგმება, სადაც დე ფაქტო უშიშროების სამსახურის, დე ფაქტო შსს-ს და ე.წ. სახელმწიფო საემიგრაციო სამსახურის თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ და დოკუმენტებს შეამოწმებენ. ამასთან, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები „სასაზღვრო ზონაში” შემავალ დასახლებულ პუნქტებს 24-საათიან რეჟიმში შეამოწმებენ.

„პია“

თბილისის ტელეანძაზე განათების გათიშვის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

მთავარმა პროკურატურამ თბილისის ტელეანძაზე განათების გათიშვის გამო, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ თბილისის ტელეანძაზე გარეგანათებისა და საჰაერო ნავიგაციისთვის განკუთვნილი შუქურის გათიშვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

„მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, თბილისის ტელეანძაზე გაითიშა გარეგანათება და საჰაერო ნავიგაციისთვის განკუთვნილი შუქურა, რითაც, შესაძლოა, ვერ იქნას უზრუნველყოფილი უსაფრთხო ფრენა. ვინაიდან, მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, უწყების განმარტებით, საფრთხე შეექმნა საჰაერო ხომალდების უსაფრთხოებას ფრენის დროს. უკვე ამ მიმართულებით კი, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს. ამასთან, პროკურატურაში დაკითხვაზე უკვე იმყოფება შპს „სინათლის ქალაქის“ დირექტორი ნიკა ტოგონიძე.

„ინტერპრესნიუსი“

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ნუსხაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება მოხვდება

საქართველოს მთავრობას სტრატეგიული ობიექტების ნუსხის დამტკიცება დაევალა. როგორც ეკონომიკური საბჭოს სხდომის შემდეგ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განაცხადა, საქართველოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის თანახმად უზრუნველყოფილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ნუსხაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება მოხვდება.

„ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივა არ ეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და მათთან ურთიერთობაში სახელმწიფო გამოდის იმ ხელშეკრულებით, რომელიც მათთან არის გაფორმებული“, — აღნიშნა თადუმაძემ.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის ინფორმაციით, ნუსხაში მოხვდება ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია. იმ ობიექტებს კი, რომლებიც აღნიშნულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, სპეციალური სამუშაო ჯგუფი გამოავლენს.

სტრატეგიული ობიექტების ნუსხაში, შესაძლოა, მოხვდეს საქართველოს რკინიგზა, სატელევიზიო ანძა და ა.შ. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, კრიტერიუმები საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით განისაზღვრება.

„მივიჩნევთ, რომ ასეთი ნუსხა უნდა არსებობდეს. ესაა საერთაშორისო პრაქტიკა. თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს კრიტერიუმები, როდესაც თუნდაც ამა თუ იმ ობიექტის გასხვისება განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარება“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

სტრატეგიული ობიექტების ნუსხის შედგენის ინიციატივით პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე გამოვიდა.

„ინტერპრესნიუსი“

„არჩევნებამდე დედაქალაქში ცენტრალური მმართველობის დაწესება სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება, თუმცა არც კაპიტულაციის მომხრე ვარ!“

საკრებულო და მერია კორექტირებულ ბიუჯეტზეც ვერ თანხმდებიან, რამდენი მილიონი ერიცხება ბიუჯეტის ჩაგდების შემთხვევაში მერიის სამსახურებს და რისი იმედი აქვს მამუკა კაციტაძეს

ირუსუდან შელია
557-100-768

თბილისი 2014 წელს ბიუჯეტის გარეშე შეხვდა. 29 დეკემბერს, დედაქალაქის საკრებულომ ხმათა უმრავლესობით თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტი ჩააგდო და პრიორიტეტების გამოსაკვეთად მერიას დაუბრუნა. 20 იანვარს კი, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მერიამ საკრებულოში საბიუჯეტო პროექტის ჩასწორებული ვარიანტი წარადგინა, თუმცა იგი ამჯერადაც საკრებულოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მეტიც, „ქართული ოცნება“ დედაქალაქის მთავრობის გადადგომას ითხოვს. თბილისის მერიასა და საკრებულოს დაპირისპირებაზე „ვერსიას“ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, საკრებულოს წევრი მამუკა კაციტაძე ესაუბრა.

— თბილისის მერიამ საკრებულოში ამჯერადაც გაუგებარი საბიუჯეტო პროექტი წარმოადგინა. ამ დოკუმენტში მხოლოდ 2013 წლის ბიუჯეტიდან დარჩენილი 55 მილიონის გახარჯვის სქემაა უკეთ გაწერილი, დანარჩენი საკითხები კი საკრებულოსთვის კვლავ გაურკვეველი რჩება.

— მერიის წარმომადგენლების განცხადებით, ამჯერად, საკრებულოში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი შემოიტანეს. სხდომაზე თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი კვლავ ჩავარდება?

— რა თქმა უნდა, ამ ფორმით თბილისის ბიუჯეტს არავინ დაამტკიცებს და ეს მხოლოდ მერიის იგნორირების შედეგია.

> **მათ სურთ, საკრებულო მორჩილებაში ამყოფონ, თუმცა ყველას შევახსენებ, რომ მსგავსი მეთოდები დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. პირადად ჩემთვის, თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებით, მერიის შოკური მდგომარეობა აბსოლუტურად გაუგებარია. საკრებულოს სრული უფლება აქვს, საბიუჯეტო პროექტში ჩასწორებები და მეტი გამჭვირვალობა მოითხოვოს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მათ მიერ წარმოდგენილ პროექტში აბსოლუტურად გაუგებარია, რაში აპირებს დედაქალაქის მთავრობა 2014 წლის განმავლობაში საკმაოდ სოლიდური თანხების დახარჯვას.**

მაგალითად, დოკუმენტში მხოლოდ სამი სიტყვით წერია: „ძველი თბილისის რეაბილიტაცია — 15 მილიონი ლარი“, თუმცა რატომღაც, ამის შემდეგ არავინ აკონკრეტებს, 15 მილიონი ლარის დახარჯვას გზების რეაბილიტაციისთვის აპირებენ თუ დაზიანებული სახლების რესტავრირებისთვის. ამასთან, პრიორიტეტულ მიმართულებებზე ბიუჯეტის მხოლოდ 0,7%-ია გათვალისწინებული, ამიტომ მერიამ უნდა გააცნობიეროს, რომ ბიუჯეტი კონსენსუსის პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს.

— თუმცა არსებობს ვერსია, რომ თბილისის ბიუჯეტის ჩაგდებით, საკრებულო ადგილობრივ არჩევნებამდე კონკურენტის ფინანსური რესურსების გარეშე დატოვებას ცდილობს, თანაც ზაზა გაბუნიამ თბილისის მთავრობის გადადგომა მოითხოვა, რაც ოპონენტებმა მორიგ ზეწოლად შეაფასეს.

— როცა მერიის ხელმძღვანელობის გადადგომას ითხოვ, სწორად ჩამოყალიბებული მიზეზები გჭირდება და ამ მიმართულებით ანძის ანთება-ჩაქრობის საკითხის წინ წამოწევა აბსოლუტურად არასერიოზულად ჟღერს. ვთქვათ, თბილისის მთავრობა გადადგა, მაინტერესებს, ახალ მთავრობას ვინ აირჩევს? მსგავს შემთხვევას კანონმდებლობა არ იცნობს. არჩეული მერისთვის უფლებამოსილება შეჩერებულია, პროცესებში კი საკრებულო ვერ ერთვება. გამოდის, ეს პირდაპირ სვლაა იმისთვის, რომ დედაქალაქის მმართველობაში ცენტრალური ხელისუფლება ჩაერთოს.

დასასრული მე-7 გვერდზე

ექსპერტები ირაკლი ღარიბაშვილს „საინვესტიციო საბჭოს“ შექმნას სთხოვენ

მსხვილ საინვესტიციო პროექტებს სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება

21 იანვარს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ, „ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ლექვინაძემ, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა, ეკონომისტმა გიორგი აბაშიშვილმა და ცენტრის „მომავლის ინიციატივების“ ხელმძღვანელმა, იურისტმა ლევან ალაფიშვილმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. ექსპერტები ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო“ შეიქმნას, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. ინიციატორების მოსაზრებით, საბჭო შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირებისგან უნდა დაკომპლექტდეს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს განვითარების უზრუნველყოფისა და სასურველი ეკონომიკური შედეგის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა და მსხვილი სტრატეგიული ინფრასტრუქტურული, განსაკუთრებით, ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაა. ამ თვალსაზრისით, რიგი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ეფექტურობა, ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და სრულყოფას. რიგ შემთხვევებში, თავს იჩენს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინაციის, გადაწყვეტილების დროულად მიღებისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების პრობლემა. შედეგად, არცთუ იშვიათად ვიღებთ იმას, რომ მსხვილი და სტრატეგიული დანიშნულების მქონე საინვესტიციო პროექტებს, სახელმწიფო უწყებები მხოლოდ მინიმალურად უწყობენ ხელს. ზოგჯერ კი ხელშეწყობის ნაცვლად, ესა თუ ის საინვესტიციო პროექტი ბიუროკრატიულ ბარიერებს აწყდება.

ექსპერტებმა — ლევან კალანდაძემ, ირაკლი ლექვინაძემ, გიორგი აბაშიშვილმა და ლევან ალაფიშვილმა პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს წერილობით მიმართეს, რომელსაც ბრიფინგის შემდეგ, ხელი მოაწერეს. მიმართვის ტექსტს მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

„როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის წარმატებული საინვესტიციო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული, რამდენად მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და საინვესტიციო კლიმატია სახელმწიფოში. აღნიშნულს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ის, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს მთელი სახელმწიფო აპარატი და რამდენად არიან სახელმწიფო სტრუქტურები ორიენტირებულნი მსხვილი და სტრატეგიული მნიშვნელობის საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე; რამდენად არიან მოტივირებულნი ამ პროექტების დროულად განსახორციელებლად; რამდენად შესაძლებელია, დაძლეული და აღმოფხვრილ იქნას გარკვეული შეფერხებები და წინააღმდეგობები საინვესტიციო პროექტის დაგეგმვის, სახელმწიფო ნებართვების გაცემისა და რეალიზაციის ეტაპებზე; რამდენად უმარტივდება ინვესტორს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა და რამდენად უწყობს მას ხელს ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევაში, თავად სახელმწიფო.

მოგმართავთ წინადადებით, თქვენი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით, შეიქმნას „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო“, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირებისგან. საბჭომ მხოლოდ ამა თუ იმ მსხვილი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ კი არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, არამედ — ამ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, სახელმწიფო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგი და პროექტების მიმდინარეობის პროცესში ჩართული, შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობის კოორდინაციაც უნდა განახორციელოს. შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფო კომისია აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო უფლებამოსილებით. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, საინვესტიციო პროექტებისთვის ხელშემშლელ ან შემაფერხებელ ნებისმიერ გარემოებებზე „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო“ უნდა ახდენდეს დაუყოვნებლივ, მყისიერ რეაგირებასა და საინვესტიციო პროექტის მიმდინარეობის ხელისშემშლელი ან შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრას.

საქართველოში, მსხვილი და სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სპეციალური სახელმწიფო კომისიის საქმიანობის პრაქტიკა უკვე არსებობს და საკმაოდ წარმატებულიც. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს, თუნდაც ისეთი პროექტები, როგორებიც იყო „ბაქო-სუფსა“, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ და „ერზერუმი-შაჰ-დენიზი“. იმედს გამოვთქვამთ, რომ გულდასმით განიხილავთ ჩვენს ინიციატივას და თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება ერთი მხრივ, ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული და მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაზრდის სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობის ეფექტურობას“.

მაია მიშელაძე

„არჩევნებამდე დედაქალაქში ცენტრალური მმართველობის დაწესება სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება, თუმცა არც კაპიტულაციის მომხრე ვარ!“

მე-6 გვერდიდან

— ანუ საკრებულოს ხელმძღვანელობის მიზანს დედაქალაქის მმართველობის „ქართული ოცნებისთვის“ გადაცემა წარმოადგენს?

— პირდაპირ ასე ვერ ვიტყოდი... პირადად ამ პროცესს ხელს არ შევუწყობ. თანაც როცა მთავრობის გადადგომას ვითხოვთ, მომდევნო ნაბიჯიც გათვლილი უნდა გვქონდეს. არ უნდა შევქმნათ ვაკუუმი, რომელიც პროცესებს უარყოფითი მიმართულებით წარმართავს. რაც შეეხება ბიუჯეტს, ამ მიმართულებით ხელოვნური ბარიერების შექმნა პრიორიტეტი ნამდვილად არ არის. ამ შემთხვევაში, წმინდა წყლის საქმიან შეუთანხმებლობასთან გვაქვს საქმე. ეს პრობლემა ორმხრივია, ამიტომ ორივე მხარემ შემხვედრი ნაბიჯი უნდა გადადგას. ამის ნაცვლად, დედაქალაქის მთავრობა საკრებულოს მიმართ აგდებულ ქმედებებს განაგრძობს.

— თუ თბილისის ბიუჯეტი ვერ დამტკიცდა, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას თუნდაც თბილისის დასუფთავებაზე, ხელფასების გაცემასა თუ სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებზე?

— თავის წილ პასუხისმგებლობას საკრებულოს თითოეული დეპუტატი გრძნობს, მათ შორის მეც.

> **მირჩევნია, ბუნდოვან ბიუჯეტზე ახლა ვთქვა უარი, ვიდრე მომავალში, საყვედურები ვისმინო, მერიაში 55 მილიონი უგზოუკვლოდ რომ გაქრა და ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა, შენ სად იყავიო. თანაც კანონის მიხედვით, ბიუჯეტის ჩაგდების შემთხვევაში, მერიას გასული წლის ბიუჯეტის მეთორმეტედი ერიცხება, რაც დღეისთვის, 53 მილიონ ლარს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი ცხოვრებას ჩვეულებრივად განაგრძობს. ასე რომ, მერია იტყუება, როცა უფულობაზე წუწუნებს.**

— იანვარიც იწურება, დედაქალაქში სხვადასხვა სამსახურების ფუნქციონირებას 53 მილიონი რამდენ ხანს ეყოფა?

— მესმის, დაუმტკიცებელი ბიუჯეტის პირობებში, სერიოზული და გრძელვადიანი პროექტების დაფინანსება ვერ მოხერხდება, თუმცა მსგავს კრიზისულ ვითარებაში მერიას 53 მილიონი ლარი ყოველთვიურად დაერიცხება. შარშან ეს თანხა 35 მილიონს შეადგენდა, ამიტომ გაუგებარია, რა შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში ისეთი, რომ მერიას ეს თანხა აღარ ყოფნის?! ბუნებრივია, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, თბილისის მთავრობა მოქალაქეებისთვის დისკომფორტის შექმნას შეეცდება. მათ შორის, სპეკულირებას დაიწყებენ, თითქოს ვაუჩერებს ვერ აფინანსებენ და ა.შ. ანძაც სწორედ ამ მიზნით გამორთეს, თუმცა მოსახლეობას ჩვენ არგუმენტებსაც ოპერატიულად მივაწვდით. კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: მერიის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტში, სატელევიზიო ანძის განათებისა და ციმციმების რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯებში ნახევარი მილიონი ლარი იყო მითითებული, ხოლო იმავე დოკუმენტში, განსაკუთრებით გაჭირვებული მოქალაქეების სოციალური თავშესაფრისთვის მერიამ მხოლოდ სამასი ათასი ლარი გაიმეტა, ამიტომ კარგი იქნება, თუ შუქს მერიის დერეფნებსა და ოთახებშიც ჩააქრობენ და ერთ ნათურას დაკიდებენ, ეს ქმედება დედაქალაქს ნამდვილად წაადგება.

— იქნებ ხარჯები საკრებულოშიც შემცირებულიყო, მათ შორის, ვახშმებსა და პრემიებზე?

— დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია, საკრებულოს ხარჯები გადაამოწმოს. მერიის ერთი სამივლინებო ხარჯი საკრებულოს მთელი წლის სამივლინებო თანხებს უტოლდება. პირადად მე, საკრებულოში „ახალი მემარჯვენეების“ მანდატით მოვხვდი, შესაბამისად, არც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ქვეშ მყოფი მერიის ხუშტურზე გავივლი და არც „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარეების დამცველი ვარ. მხოლოდ თბილისელების მხარდამჭერი ვარ და საბიუჯეტო პროექტთან დაკავშირებით, ჩემი არგუმენტები გამაჩნია. როცა მერია თითს საკრებულოსკენ იშვერს, არ დაავიწყდეს, რომ ჩვენი წინადადებები თავად უგულებელყო. მაინც იმედი მაქვს, რომ მარტამდე ეს პროცესი არ გაგრძელდება და საბოლოოდ გონიერება გაიმარჯვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე მხარე ცნობილი იგავის „ჯიუტი თხების“ გმირებს დაემსგავსება, თუმცა, პირველ რიგში, დედაქალაქის მცხოვრებლები დაზარალდებიან, ამიტომ სჯობს, ყველამ თბილისის კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ.

— არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დედაქალაქის ბიუჯეტის ირგვლივ გაურკვევლობა საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად არ მოქმედებს?

— ბუნებრივია, არჩევნებამდე დედაქალაქში ცენტრალური

მმართველობის დაწესება სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება. თუმცა კაპიტულაციის მომხრე არ ვარ. მმართველ გუნდს ვეთანხმები, რომ მერიასა და საკრებულოს შორის თანამშრომლობა უნდა მოხერხდეს და თუ ეს მხარეებმა ვერ გავაცნობიერეთ, მაშინ მართლაც ყველანი დასათხოვნი ვყოფილვართ.

> **მერწმუნეთ, არც ერთ მხარეს აწყობს წინასაარჩევნოდ დათხოვნილი მერია და საკრებულო. პირველ რიგში, მსგავსი ქმედება ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში არ შედის, რადგან ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ისინი მნიშვნელოვან ბერკეტებსა და რესურსებს კარგავენ. ეს გადაწყვეტილება წამგებიანი იქნება იმ პარტიებისთვისაც, რომლებიც არცერთ პოლიტიკურ ძალასთან არ ვასოცირდებით. ამ შემთხვევაში, არჩევნებამდე ერთი დომინანტი პოლიტიკური პარტია დაფიქსირდება, რომელიც თბილისის მმართველად თავის რწმუნებულს დანიშნავს და დედაქალაქის გაკონტროლების შანსიც გაქრება.**

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მერიის მხრიდან შემხვედრ ნაბიჯებს ველოდები. სწორედ ამ მიზნით საკრებულოში მერიის წარმომადგენლების მოწვევა გვინდა, რათა საკითხზე ერთობლივად ვიმუშაოთ.

ჩვეულებრივი სოდა კიბოს წინააღმდეგ?

ფუდიო სიმონჩინის მკურნალობის მეთოდი სასწაულებს ახდენს!

კიბოს სიმსივნე, ეს არის კანდიდას განტოტვილი სოკო ანუ საფუარას მსგავსი სოკო, რომელსაც გააჩნია პარაზიტარული ბუნება, ცოცხლობს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმშიც; ძლიერი იმუნიტეტი არ აძლევს კანდიდას გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ თუ ორგანიზმი დაუძლურდება, სოკო ვრცელდება მთელ სხეულში და იწვევს ავთვისებიან სნეულებებს.

აი, რას ამბობს მაიკ ლამბერტი, შენის კლინიკიდან, კანდიდას შესახებ: **„სოკოები და, განსაკუთრებით, კანდიდა არსებობენ პატრონის სხეულის ხარჯზე. ამ ორგანიზმს, როგორც სხვა პარაზიტს, კვლავწარმოებისთვის სჭირდება პატრონი. კანდიდას ცხოველმყოფელობის პროდუქტები აუძლურებენ იმუნურ სისტემას და საქმე იქამდე მიდის, რომ ადამიანი თავს ცუდად გრძნობს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურადაც“.**

ტულიო სიმონჩინი მიიჩნევს, რომ კიბო, ესაა კანდიდას განვრცობილი სოკო და რომ კიბოს ტრადიციული განმარტება სრულიად არასწორია. როგორც ონკოლოგიისა და მეტაბოლური დარღვევების სპეციალისტი, ტულიო სიმონჩინი წავიდა ტრადიციული მედიცინის ინტელექტუალური კონფორმიზმის, კიბოს გლობალური ეპიდემიის ტრადიციული მეთოდებით „მკურნალობის“ წინააღმდეგ. მან გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა თავისი პაციენტებისთვის და არ ელაპარაკა მათთან სამედიცინო ინსტიტუტში დაზუთხული ფრაზებით. იმ დღიდან მოყოლებული, რაც სიმონჩინი სწავლობს მედიცინას, მიხვდა, რომ კიბოს მკურნალობენ არასწორად: **„ვხედავდი, როგორ იტანჯებოდნენ ადამიანები. ბავშვთა ონკოლოგიურ განყოფილებებში, სადაც ვმუშაობდი, ყველა პატარა კვდებოდა. ამ უმწეო, ქიმიოთერაპიითა და რადიაციით დასხივებულ ადამიანთა შემხედვარე, გული მეკუმშებოდა“.** პაციენტთა დახმარების სურვილმა მიიყვანა ის ამ დაავადების ახალი გზების ძიებამდე. სიმონჩინიმ გადაწყვიტა, უარეყო ყოველივე, რაც კი იცოდა ონკოლოგიის შესახებ და დაეწყო საკუთარი, დამოუკიდებელი გამოკვლევა. მან აღმოაჩინა, რომ კიბოს ყველა სახეობა ერთნაირად ავლენდა თავს, დამოუკიდებლად იმისა, რომელ ორგანოში ან ქსოვილში ყალიბდებოდა იგი. ყველა სიმსივნური წარმონაქმნი იყო თეთრი ფერის. სიმონჩინიმ დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რას წააგავს კიბოს სიმსივნე. კანდიდას სოკოს? ნუთუ ის, რასაც ტრადიციული მედიცინა უჯრედების დაყოფის გაუკონტროლებელ პროცესად მიიჩნევს, სინამდვილეში, არის თვით ორგანიზმის მიერ კანდიდოზისგან (რძიანასგან) თავდაცვის მექანიზმის გამოვლენა? კანდიდას სოკო, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, აკონტროლებს ძლიერი იმუნიტეტი, გამრავლებას იწყებს დაუძლურებულ ორგანიზმში და წარმოქმნის თავისებურ „კოლონიას“. როდესაც რომელიმე ორგანო რძიანათი დასნებოვნდება, იმუნიტეტი ცდილობს, დაიცვას ორგანო უცხო ელემენტთა შემოჭრისგან. იმუნური უჯრედები წარმოქმნის დამცავ ბარიერს ორგანიზმის უჯრედებისგან. სწორედ ამას უწოდებს კიბოს ტრადიციული მედიცინა. მიიჩნევა, რომ ორგანიზმში მეტასტაზების გავრცელება, ესაა „ავთვისებიანი“ უჯრედების განვრცობა ორგანოებსა და ქსოვილებში, მაგრამ სიმონიჩი ამტკიცებს, რომ მეტასტაზები ორგანიზმში კანდიდას სოკოს გავრცელებითაა გამოწვეული. სოკოები კი ანადგურებს მხოლოდ ნორმალურად ფუნქციონირებადი იმუნიტეტის უჯრედებს.

იმუნური სისტემა — აი, კიბოსგან განკურნების გასაღები. კიბოთი დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ხომ არ არის ეს კარგად დაგეგმილი ომი ადამიანის იმუნური სისტემის წინააღმდეგ, ომი, რომელიც სულ უფრო და უფრო სასტიკი და დაუნდობელი ხდება? იმუნიტეტს აუძლურებს: კვების პროდუქტის ზოგიერთი სახეობა, საკვები დანამატები, პესტიციდები და ჰერბიციდები, ვაქცინაცია, ელექტრომაგნიტური და მიკროტალღური ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პრეპარატები, თანამედროვე ცხოვრებისეული სტრესი და სხვა.

ორ წლამდე პატარებს უკეთდება 25-მდე სხვადასხვა სახის აცრა, არადა, სწორედ ამ დროს ყალიბდება ადამიანის იმუნიტეტი! რა აუძლურებს იმუნიტეტს ყველაზე მეტად? ქიმიოთერაპია და რადიოთერაპია. ესენია ორგანიზმის უჯრედთა განადგურების ყველაზე ქმედით მეთოდები. ყველაზე თანამედროვე და „მკურნალობის“ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი ეყრდნობა პოსტულატს (პოსტულატი — მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ჭეშმარიტებად მიიჩნევა თეორიული ან პრაქტიკული აუცილებლობის გამო), რომ კიბოს უჯრედები პაციენტის ჯანმრთელ უჯრედებზე ადრე ნადგურდება. ქიმიოთერაპიის შხამიანი შენაერთები კლავენ იმუნური სისტემის უჯრედებს, მაგრამ თვით კანდიდა იქვე რჩება და არ ქრება. იმუნური სისტემის ნაფლეთებს ძალა არ შესწევთ, წინააღმდეგობა გაუწიონ კანდიდას უჯრედებს. სოკო მოედება სხვა ორგანოებსა და ქსოვილებს. კიბო თანდათანობით ასნებოვნებს მთელ ორგანიზმს. მათ, ვინც თითქოსდა, გამოჯანმრთელდნენ ქირურგიული ჩარევისა და ქიმიოთერაპიის შედეგად, სინამდვილეში, საკუთარ ორგანიზმში ჩაინერგეს საათის მექანიზმზე მომართული ბომბი. იმუნიტეტი განადგურებულია. რეციდივების გამოჩენა კი, ასეთ შემთხვევაში, დროის საკითხია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ქიმიოთერაპია, რომელიც თითქოსდა უნდა კურნავდეს ადამიანს, სინამდვილეში, კლავს.

იმისთვის, რათა ადამიანი განიკურნოს კიბოსგან, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ იმუნიტეტი, და არა პირიქით — დავუძლუროთ იგი. როდესაც სიმონჩინი მიხვდა, რომ კიბოს აქვს სოკოვანი ბუნება, მან დაიწყო ეფექტური ფუნგიციდის ძიება, მაგრამ სწორედ მაშინ გახდა მისთვის ცხადი, რომ აქ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები არ მოქმედებს. კანდიდა სწრაფად იცვლება და იმდენად ეგუება ამ პრეპარატებს, რომ მათით იკვებება კიდეც.

დარჩა მხოლოდ ძველთაძველი, დროით გამოცდილი, იაფი და ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალება — ნატრიუმის ბიკარბონატი. ეს არის საკვები სოდის ძირითადი ინგრედიენტი. რატომღაც სოკოს არ შეუძლია ნატრიუმის ბიკარბონატისადმი ადაპტირება. სიმონიჩის პაციენტები სვამენ სოდის ხსნარს ან ნატრიუმის ბიკარბონატი პირდაპირ შეჰყავთ სიმსივნეში სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, რომელიც ენდოსკოპს (გრძელი მილი, რომელსაც შინაგანი ორგანოების დასათვალიერებლად იყენებენ) მოგვაგონებს.

ეს ექიმი სასწაულებს ახდენს და კურნავს ყველაზე მძიმე ონკოლოგიურ შემთხვევებს უბრალო და იაფი პრეპარატით — ნატრიუმის ბიკარბონატით. ზოგიერთ შემთხვევაში, პროცედურები გრძელდება თვეობით, ზოგიერთში (მაგალითად, მკერდის კიბოს) — მხოლოდ რამოდენიმე დღე. ხშირად სიმონჩინი უბრალოდ ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით უყვება ადამიანებს, თუ რა უნდა გააკეთონ. ზოგიერთის მკურნალობას პირადადაც კი არ ესწრება და მაინც შედეგი განმაცვიფრებელია. კიდევ კარგი, „შეშლილი“ სიმონჩინი აგრძელებს ადამიანთა მკურნალობას, რადგან მსოფლიოში მილიონობით პაციენტი კვდება არასწორი მკურნალობის შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, არასწორ პოსტულატს ეფუძნება.

თუ სიმსივნე 4-5 სანტიმეტრზე დიდია, მაგ შემთხვევაში ხშირად საჭიროა ქირურგიული ჩარევა (მხოლოდ სიმსივნეს კვეთენ, ორგანოებს ადგილზე ტოვებენ) და ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ სოდიუმის ბიკარბონატით ახდენენ ადგილის სტერილიზებას, შემდეგ კი ტოვებენ კათეტერს ოპერაციის ადგილას, რათა ჩატარდეს გამორეცხვები ბიკარბონატით — ყოველდღე, დაახლოებით 2 კვირიდან 1 თვემდე (ალბათ, საჭიროების მიხედვით). არავითარი ქიმიოთერაპია ან რადიოთერაპია არ არის მიზანშეწონილი და სიმონჩინი გირჩევთ, თავი აარიდოთ მსგავს „მკურნალობას“. სიმონჩინი იყენებს საჭმელ სოდას (არა მარტო სიმონჩინი, სხვა მეცნიერებიც ამ გზით მიდიან), რაც მჟავე გარემოს ცვლის ტუტე გარემოთი, სადაც კიბოს უჯრედებს უჭირთ გავრცელება,

რაც შეეხება იმუნურ სისტემას, — ამბობს სიმონჩინი, ეს ტერმინი მეტაფიზიკური მნიშვნელობის მქონე არ არის და არასწორად გამოიყენება ექიმების მიერ იმიტომ, რომ იმუნური სისტემა არის ის, თუ როგორ გრძნობთ თავს სხეულის სუბსტანცია, თქვენი ენერგია, გონება — ამათგან განცალკევებული იმუნური სისტემა არ არსებობს.

AIAnews.ge

გენდერულ როლებს შორის ზღვარი იშლება

მოლი კორსო
urasianet.org

საქართველოს პატრიარქალური ქვეყნის რეპუტაცია აქვს, მაგრამ, ექსპერტების აზრით, XXI საუკუნის რეალიები ნელ-ნელა არყევს იმ შეხედულებებს, რომელიც მამაკაცს პირველ ადგილზე აყენებს.



ტრადიციულად, საქართველოში მარჩენლად, ოჯახის უფროსად და ოჯახური ღირსების დამცველად მამაკაცს მიიჩნევდნენ, მაგრამ ზოგიერთი უფლებადამცველი, მათ შორის, მამუკა გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ვითარება ნელ-ნელა იცვლება და მამაკაცებს სულ უფრო მეტი ვალდებულება ეკისრებათ სახლის საქმეებში. რაც დასავლური გადმოსახედიდან შეიძლება უმნიშვნელო ცვლილებად ჩანდეს, მათ შორის ის ფაქტი, რომ მამაკაცებს სულ უფრო ხშირად დაჰყავთ ბავშვები სკოლაში ან საოჯახო საქმეებს აგვარებენ, საქართველოში მამაკაცის როლის ცვლილების თვალსაზრისით, სერიოზული ძვრაა იმასთან შედარებით, რაც ათი წლის წინ იყო, — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენელი.

გაერო-ს განვითარების პროგრამების (UNDP) ერთ-ერთი პროექტის მენეჯერი ქეთი მახარაშვილი ამბობს, რომ ამ ტენდენციის სათავეებთან მამაკაცები დგანან — ისინი მეტ დროს უთმობენ ოჯახს და ხშირად, ხელს უწყობენ ცოლებს კარიერულ მისწრაფებებში, თუმცა ეს ტენდენცია არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში სწრაფად ვრცელდება პროგრესული შეხედულებები, რომელიც ქვეყანაში ძველებურად საკმაოდ კონსერვატიულია. ცვლილებები გამოწვეულია ეკონომიკური მიზეზებით და აიძულებს მამაკაცებსა და ქალებს, სხვაგვარად შეხედონ ვითარებას. გენდერული სტერეოტიპები საქართველოში კვლავინდებურად ძლიერია: ბავშვებს ადრეული ასაკიდან ასწავლიან სქესთან დაკავშირებულ სათამაშოებთან, ფერებთან და სიმღერებთან ასოცირებასაც კი. სახლის დალაგება, სადილის მომზადება, ნაგვის გატანა და ბავშვების მოვლა კვლავ ქალის საქმედ მიიჩნევა. სოციალური კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქალებს ცვლილებები დიდად არ სურთ. მახარაშვილი აღნიშნავს, რომ UNDP-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რომლის შედეგებიც შარშან, ნოემბერში, გამოქვეყნდა, 1760 გამოკითხული მოქალაქიდან 88% ეთანხმება მოსაზრებას, რომ იდეალურ შემთხვევაში, მამაკაცი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი უნდა იყოს. სადილის მომზადების მხრივ, ქალების 93%-მა აღიარა, რომ ამ საქმეს თავად აკეთებენ და ფოკუსჯგუფის კვლევამაც აჩვენა, რომ ქართველი ქალების უმრავლესობის აზრით, სამზარეულოში მამაკაცების ადგილი არ არის. მსგავსი დამოკიდებულება გამოვლინდა, ტრადიციულად, ქალურ საქმეებად მიჩნეული სხვა ფუნქციების მიმართაც, როგორიცაა სახლის დალაგება და ბავშვების მოვლა. გაერო-ს წარმომადგენლებსა და ადგილობრივ აქტივისტებს სურთ, ეს ნელი სვლა გენდერული თანასწორობისკენ ისეთ კალაპოტში მოექცეს, რომ შეუქცევადი გახდეს. შესაბამისად, ისინი ახორციელებენ პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს სოციალური სტერეოტიპების ანალიზსა და მასზე მსჯელობას, მისი შემდგომი კორექციის მიზნით. ქალთა ფონდის „ტასოს“ გენერალურ დირექტორ მარინა თაბუკაშვილს მიაჩნია, რომ ცვლილებების მისაღწევად მთავარი ფაქტორია განათლება. **„ჩვენ ამ სტერეოტიპებს, უბრალოდ, ვერ გავაქრობთ“,** — ამბობს ის და აღნიშნავს, რომ საჭირო იქნება „ფსიქოლოგიური“ ცვლილება. გაერო-ს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ხელს უწყობს სემინარების სერიის გამართვას, რომლის ფარგლებშიც განიხილება, მაგალითად, ოჯახური ძალადობის საკითხები. **„ჩვენ გვაქვს ციფრები, რომელიც ცხადყოფს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ვითარება შეიცვალა, და ვიმედოვნებთ, რომ გარდაქმნები გაგრძელდება და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“,** — ამბობს მირიან ჯუღელი, UNFPA-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი. მამუკა გაჩეჩილაძის აზრით, რეალური ცვლილება ის კი არ არის, მამაკაცებმა სამზარეულოს დალაგება და „პამპერსის“ გამოცვლა საკუთარ თავზე აიღონ, არამედ უნდა მოეწყოს ჯანსაღი საოჯახო მეურნეობა. ბევრად სერიოზული საკითხია ჰარმონიული ოჯახის აშენება, სადაც როლები ფურცელზე განაწილებული არ არის და ოჯახის წევრები აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთზე ზრუნავენ.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„2015 წლისთვის ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაცია სავსებით რეალურია“

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა შორეული ოცნება აღარ არის. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იმედოვნებს, რომ ვიზის ლიბერალიზაციის პროცესი 2015 წლისთვის დასრულდება. როგორც თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, ამ საკითხთან დაკავშირებით, თარიღებით მანიპულირება არ შეიძლება, თუმცა 2015 წელი, შესაძლოა, ორიენტირად ჩაითვალოს. მისივე განმარტებით, ევროკავშირის მხრიდან წარდგენილი ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ორი ფაზისგან შედგება, ესაა საკანონმდებლო და იმპლემენტაციის ფაზები.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, ყოველი ფაზის ფარგლებში ევროკავშირი სპეციალურ შემფასებელ მისიებს გზავნის, რომლებიც აფასებენ მდგომარეობას — თუ რამდენადაა მზად ქვეყანა შემდგომი ნაბიჯებისთვის და იძლევიან რეკომედაციას. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ევროკავშირის საბჭო:

„ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი მისია, შეფასება კარგია. პრაქტიკულად, საკანონმდებლო ფაზის უმეტესი ნაწილი კარგადაა შესრულებული. მაგრამ გაზაფხულზე კიდევ ერთ მისიას ველით, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავასრულოთ პირველი საკანონმდებლო ფაზა და ოფიციალურად გადავიდეთ იმპლემენტაციაზე. იმედი გვაქვს, ეს ზაფხულამდე მოხდება“.

მისივე თქმით, ბევრი საკითხი დამოკიდებულია საქართველოს შედეგებსა და ევროკავშირის შეფასებებზე.

თამარ ბერუჩაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ პროცესი 2015 წელს დასრულდება, თუმცა განმარტა, რომ უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილება პოლიტიკურია და საქართველომ კარგად უნდა შეასრულოს საშინაო დავალება, კარგი შეფასება მიიღოს, რათა შემდეგ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდეთ და საქართველოს მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლის უფლება მიეცეთ.

პოლიტოლოგი, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ ორ წელიწადში ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია სავსებით რეალურია:

„სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე კარგი შედეგი ვაჩვენეთ და უკვე ამისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების მეორე საფეხურზე ვიმყოფებით. 2015 წლის ბოლოსთვის საჭირო პროგრესის მიღწევა სავსებით მოსალოდნელია. მეორე ეტაპი რამდენიმე ბლოკისგან შედგება: ესაა დოკუმენტაციის სათანადოდ მოწესრიგება, მიგრაციის პოლიტიკა, ადამიანის უფლებები ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, მათ შორის მიგრანტებთან მიმართებაში, ასევე საგარეო კავშირ-ურთიერთობები, რაც სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებასაც გულისხმობს. აქ კონტროლის გამკაცრებაზე იმდენად არ არის აქცენტი, რამდენადაც სასაზღვრო მოწესრიგებაზე. ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ევროკავშირის მხრიდან ნამდვილად უნდა გვქონდეს დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილების იმედი“.

რაც შეეხება სავიზო ლიბერალიზაციის პირობებში მოსახლეობის ქვეყნიდან გადინების ყბადაღებულ საფრთხეს, კახა გოგოლაშვილის თქმით, ამ თვალსაზრისით, ყველაფერი პირიქით უფრო უნდა იყოს:

„საზღვარგარეთ ჩასვლა-დაბრუნება გამარტივდება და მოქალაქეებს ქრთამის გადახდა არ დასჭირდებათ. ყველასთვის ცნობილია, რომ დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული არალეგალურად ჩასვლა და იქ დარჩენა. ვინც წავა, მისთვის ყველაფერი გაცილებით გაადვილდება, სამი თვის განმავლობაში დარჩენის უფლება ექნება; იშოვის სამსახურს, დარჩება, თუ არადა, დაბრუნდება, მოგვიანებით კი, კვლავ ლეგალურად ცდის ბედს. ადამიანები არალეგალური გადაადგილების გამო მუდმივი საფრთხის წინაშე აღარ იქნებიან და აღარც ზედმეტი პრობლემები შეექმნებათ.

ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გადინება კი დამოკიდებულია არა სავიზო რეჟიმზე, არამედ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, დასაქმების მაჩვენებელზე. თუ ადამიანებს საარსებო გარემო, ელემენტარული სამუშაო არ ექნებათ, ისინი საზღვარგარეთ წასვლაზე იფიქრებენ და ამ შემთხვევაში ლეგალური გადაადგილების საშუალება მიეცემათ. განვითარებულ სამყაროსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების მთავარი მიზანიც ისაა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრება გაუადვილდეთ და არა პირიქით“.

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს სახლში სპეცსამსახურები დაადგნენ და „უცხო ქვეყნის“ პასპორტის ჩაბარება მოსთხოვეს. ამ ადამიანმა არ დაუთმო და ბოლომდე იბრძოლა იმ მოტივაციით, რომ კავკასიის რეგიონიდან საქართველო ყველაზე ადრე დაუახლოვდებოდა ევროკავშირს და მას ამ სივრცეში ლეგალურად მოგზაურობის საშუალება მიეცემოდა. მაშინ, მომხდურ სამართალდამცავებს ეს პასუხი სასაცილოდ არ ეყოთ, დრო კი საპირისპიროს ამტკიცებს.

მალე, დასავლეთში გადაადგილება, ლამის, სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემებთან დაკავშირებული აღარ იქნება, მთავარია, აქ, ქვეყანაში, ისეთი პროგრამა იქნეს მიღწეული, რომ ადამიანებს ერთადერთ გზად თავქუდმოგლეჯილი გაქცევა არ ესახებოდეთ.

ჯუდი დემფსი

ევროკავშირი ახლავე უნდა დაეხმაროს საქართველოსა და მოლდოვას

CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE

ერთი წელი ძალიან დიდი დროა. 2014 წლის ბოლოს, საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ვაჭრობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერას გეგმავენ. ამ ხელშეკრულებების პარაფირება მათი მხრიდან შარშან, ლიტვაში, ვილნიუსში მოხდა. ამ ორ ქვეყანას ევროკავშირისგან ინტენსიური დახმარება სჭირდება, რათა დროის ამ ხანგრძლივ მონაკვეთში აღებულ კურსს არ გადაუხვიონ.

აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის ნოემბრის სამიტის წინ, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რათა ხელი შეეშალა მოლდოვისთვის და კიშინიოვს უარი ეთქვა იმ შეთანხმების პარაფირებაზე, რომელიც ქმნის ევროკავშირთან თანამშრომლობის მექანიზმს, მაგრამ სავაჭრო ემბარგოთი და ენერგომიწოდებების შემცირებით დამუქრების მიუხედავად, მოლდოვას მთავრობამ მტკიცედ გაუძლო ამ ზეწოლას. რაც შეეხება საქართველოს, იქ რუსული ზეწოლა ნაკლები იყო. მოსკოვმა, უშუალოდ, ვილნიუსის სამიტის დაწყებამდე, გააუქმა ემბარგო და რუსულ ბაზარზე დაუშვა ქართული ღვინო, მინერალური წყალი და სხვა პროდუქცია, მაგრამ ერთი წუთითაც კი არ უნდა დავუშვათ, რომ მოსკოვი ხელს არ შეუშლის ამ ქვეყნების დაახლოებას ევროკავშირთან. როდესაც სოჭის ოლიმპიადა დასრულდება, ვლადიმერ პუტინი კვლავ მიაპყრობს თავის ყურადღებას მოლდოვასა და საქართველოს და შეეცდება, შეასუსტოს აქ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებული გეგმების საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

მოლდოვა სუსტია, შესაბამისად, ის მოწყვლადია რუსული ზეწოლისთვის. იურიე ლიანკეს პროევროპული მთავრობა ერთიანი არ არის. ოპოზიციონერმა კომუნისტებმა, რომლებიც მანამდე მხარს უჭერდნენ ევროინტეგრაციის იდეას, ამ პროექტს ზურგი აქციეს და ახლა სულ უფრო ანტიევროპულ და პრორუსულ პოზიციებს იკავებენ. ევროკავშირის მხრიდან საჭირო იქნება კოლოსალური ძალისხმევა, ასოცირებაზე შეთანხმების ხელმოწერის გეგმების მხარდაჭერა რომ შენარჩუნდეს. მოლდოვაზე რუსული ზეწოლის ბერკეტი ენერგორესურსებია — იგი მთლიანად რუსულ გაზზეა დამოკიდებული. არსებობს მილსადენის აშენების გეგმა, რომელიც მოლდოვას ევროკავშირის წევრ მეზობელ რუმინეთთან დააკავშირებს, მაგრამ მისი დაფინანსების საკითხიც რომ გადაწყდეს, მილსადენი 2020 წლამდე ვერ ამოქმედდება.



ნაკლები პრობლემა არც საქართველოშია. შარშან, მიხეილ სააკაშვილის მემარჯვენე-ცენტრისტული ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ბიძინა ივანიშვილის არაერთგვაროვანი კოალიცია „ქართული ოცნების“ თანაცხოვრებას ამ ქვეყნის პოლიტიკის დესტაბილიზაცია მოჰყვა. როდესაც ორივე ხელისუფლებაში იყო, „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ რეპრესიებს უწყობდა ნაციონალურ მოძრაობას. „ოცნების“ მისამართით კი ისმოდა ბრალდებები ნეპოტიზმსა და კორუფციაზე. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანაცხოვრება დასრულდა და ეს პოსტიც „ქართული ოცნების“ ხელშია. რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რამდენად გააუმჯობესებს ეს კლიმატს ქვეყანაში. რუსეთისთვის ეს კარგი ამბებია. მართალია, ქართველების უმრავლესობა კვლავ აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციას, ხელის შეშლისთვის რუსეთს უამრავი შესაძლებლობა აქვს. მას შეუძლია, გააძლიეროს კონტროლი ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. თუკი რუსეთი დახურავს თავის საზღვრებს სამხრეთ კავკასიაში, ეს აუცილებლად გამოიწვევს საავტომობილო გზის მოშლას ავტომაგისტრალზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თბილისთან აკავშირებს და საქართველოს მთავრობას ყველა შემთხვევაში მოუწევს რეაგირება.

რისი გაკეთება შეუძლია ევროკავშირს, საქართველოსა და მოლდოვაში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებული გეგმების მხარდაჭერა რომ შენარჩუნდეს? მას შეუძლია, ხელმოწერის ვადები შეამციროს, თუმცა ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა ამას ეწინააღმდეგება. ორივე ქვეყანამ ჯერ უნდა დაამკვიდროს ევროკავშირის უამრავი კანონი, თუმცა იმავეს თქმა შეიძლება ბულგარეთსა და რუმინეთზე, რომლებიც ბლოკის წევრები შვიდი წლის წინ გახდნენ. ბრიუსელს შეუძლია საჯარო კამპანიის დაწყება, რომლის ფარგლებშიც, ახსნის ევროკავშირთან მჭიდრო კავშირის უპირატესობებს. 2007-2013 წლებში ევროკავშირმა მოლდოვას 526 მილიონი ევრო გამოუყო, რაც 3,5-მილიონიანი ქვეყნისთვის ძალიან დიდი თანხაა. მოლდოველებისა და ქართველებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, მნიშვნელოვანი იქნება უპრობლემო გადაადგილება ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, ასევე გაფართოებული ხელმისაწვდომობა უმაღლესი განათლების ევროპულ პროგრამაზე, რომელმაც რაც შეიძლება მეტი სტუდენტი უნდა მოიცვას. საჭიროა სკოლებს, უნივერსიტეტებსა და სპორტულ კლუბებს შორის გაცვლითი პროგრამების განვითარება, რაც იოლი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. ევროკავშირმა აქტიურად უნდა გამოიყენოს ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.... ნახეთ, რა ხდება რუსეთის კალინინგრადის ოლქში, რომელსაც ევროკავშირის წევრ პოლონეთსა და ლიტვასთან საერთო საზღვარი აქვს. პოლონეთსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2012 წლიდან კალინინგრადის ოლქის მცხოვრებლებს პოლონეთში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა აქვთ. „შეგიძლიათ ამის წარმოდგენა? კალინინგრადში სულ რაღაც ნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობს, — უამბო კარნეგის ევროპულ ცენტრს პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ადამ დენიელ როტფელდმა, — მაგრამ შარშან, მათ 6 მილიონჯერ იმოგზაურეს პოლონეთში. ზოგიერთები აქ საყიდლებზე ჩამოდიან, სხვები — კონცერტებზე დასასწრებლად ანდა სამოგზაუროდ. ეს უდიდესი წარმატებაა“.

პირველ რიგში, ევროკავშირმა ადგილზე მომუშავე დიპლომატებს ადამიანებთან მუშაობისთვის სრული თავისუფლება უნდა მიანიჭოს. ახლა არა ღია კარის მტვრევის, არამედ ყოვლისმომცველი მუშაობის დროა, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა პრორუსული და ანტიევროპული პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების მოსმენა და მათთან ლაპარაკი. ევროკავშირმა ყველაფერი უნდა გააკეთოს ასოცირების შეთანხმების პოპულარიზაციისთვის, ვიდრე გვიანი არ არის.

foreignpress.ge

უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზე

მორიგი „სახალხო ვეჩე“ და 2-დღიანი სისხლიანი დაპირისპირება — შსს-მ სპეცრაზმს ცეცხლის გახსნის უფლება მისცა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„იანუკოვიჩმა პირობა მომცა, რომ ვითარება დარეგულირდებოდა, თუმცა სიტყვა არ შეასრულა. პრეზიდენტისგან ველით პასუხს ოპოზიციის მოთხოვნებზე. გვაინტერესებს იმ კომპრომისების საზღვრები, რომელზეც პრეზიდენტი თანახმაა“, — კიევში, ევრომაიდანზე შეკრებილ დემონსტრანტებსა და სპეცრაზმს შორის, 2-დღიანი შეტაკების შემდეგ, ოპოზიცია ქვეყნის პირველი პირისგან სათანადო რეაგირებას ელის, თუმცა, არც აქციის მონაწილეებს, არც პოლიტიკოსებსა და არც პოლიტოლოგებს აქვთ იმედი, რომ ვიქტორ იანუკოვიჩი მთავრობას დაითხოვს, გადადგება და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს. ოპოზიციის ლიდერები მხარდამჭერებს მოუწოდებენ, პროვოკაციაზე არ წამოეგონ და დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიიღონ. პოლიტიკოსებს, ვითარების კონტროლი უჭირთ — 2-თვიანი პროტესტის შემდეგ, უკრაინელები რადიკალურ ქმედებებზე გადადიან. 19-21 იანვარს, სამართალდამცავებთან მომხდარი შეტაკებების შედეგად, არაოფიციალური მონაცემებით, დაშავებულია დაახლოებით 1400 ადამიანი, მათგან ბევრია სამართალდამცავი, 30-ზე მეტი კი ჟურნალისტია. კიევის მერიამ უკვე დათვალა ევრომაიდანზე განვითარებული მოვლენებისგან მიყენებული ზარალი, რომელიც ციფრებში ასე გამოისახება: 14 მილიონი გრივენი (დაახლოებით 1, 7 მილიონი დოლარი). ცხადია, გაცილებით დიდია მორალური და ფიზიკური ზიანი, რომელიც აქციის მონაწილეებს, შეტაკებების დროს მიადგათ. უკრაინელები ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდაჭერას განაგრძობენ, მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩი დათმობას არ აპირებს, შსს-მ კი სპეცრაზმს ხალხის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის უფლება მისცა. უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზეა!

ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც უკრაინის რადამ მიიღო კანონი აქციების შესახებ, რომლის თანახმად, საპროტესტო აქციების გამართვის წესები გამკაცრდა. დაძაბულობამ კულმინაციას 19 იანვარს მიაღწია, როცა კიევის ცენტრში, გრუშევსკის ქუჩაზე შეკრებილ დემონსტრანტებსა და უკრაინის სპეცრაზმს, „ბერკუტს“ შორის შეტაკებები დაიწყო. „ორთაბრძოლა“ 15 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

შეტაკებებამდე მორიგი სახალხო ვეჩე (სახალხო კრება) გაიმართა. თავდაპირველად, ყველაფერი თითქოს მშვიდად დაიწყო. მაიდანზე შეკრებილი 50-მდე უკრაინელი გოგონა, ფუმფულა სათამაშოებით, უკრაინის რადასკენ დაიძრა. მათი ნაწილი საკარნავალო ფორმაში იყო გამოწყობილი, ნაწილს კი, თავზე ქვაბები და თუშფალანგები ეხურა. პარლამენტის შენობაზე სათამაშო თაგვები, ფისოები და პანტერები დაამაგრეს. მათ ზურგს მომღერალი მოხუცები უმაგრებდნენ. მილიცია აქციის მონაწილეებს თვალს მშვიდად ადევნებდა. სახალხო ვეჩეს დროს, კიევის ცენტრში მოწყობილ სცენაზე პირველები სასულიერო პირები ავიდნენ. **„უკრაინაში დაირღვა დემოკრატია. მოთმინებას აქვს საზღვარი. ვინ ვარ მე? მოცახცახე არარაობა თუ მაქვს უფლება?“** — დოსტოევსკის ამ რიტორიკული კითხვით დაამთავრა ერთ-ერთმა მღვდელმა გამოსვლა, რომლითაც აქციის მონაწილეებისთვის ნათელი გახდა — ეკლესია უკრაინელებს უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს. საერთო ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, სცენაზე მორიგეობით ავიდნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც ეს აქცია უკრაინელი ხალხის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპად მონათლეს. ხალხმა ერთი, კონკრეტული ლიდერი მოითხოვა. აშკარა იყო, რომ ეს მისია „უდარის“ ლიდერს, ვიტალი კლიჩკოს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმაზე დაიწყო საუბარი, როგორ დაირღვა უკრაინელების უფლებები, როგორ იქცა დიქტატორად პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი... „ეს ყველაფერი ისედაც ვიცით“, — ყვიროდა ხალხი და ლიდერისგან სამოქმედო გეგმის გაცხადებას მოითხოვდა. „სირცხვილი თქვენ“, — ოპოზიციონერებისთვის მსგავსი ეპითეტებით 2-თვიანი აქციის მონაწილეებს აქამდე არ მიუმართავთ. აშკარა იყო, ხალხი რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ითხოვდა, პოლიტიკოსებს კი ვითარების მართვა უკვე უჭირდათ. მაშინ

შევქმნათ სახალხო რადა და სახალხო მთავრობა, დავუბრუნდეთ 2004 წლის კონსტიტუციას — თითქოს გამოსავალს მიაგნო ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა, მაგრამ ამ წინადადებას, აქციის მონაწილეთა შორის მომხრეები არ გამოუჩნდნენ...

დაახლოებით 100-მდე ადამიანი რადასკენ დაიძრა, მაგრამ პარლამენტის შენობამდე მისვლა ვერ მოახერხეს — პოლიციამ მათ გზები ავტობუსებითა და სამხედრო მანქანებით ჩაუხერგა. მომიტინგეების მართვა პოლიტიკოსებმა ვეღარ შეძლეს — დემონსტრანტებმა მობილიზებული ტრანსპორტის მინები ჩაამსხვრიეს, ბოლოს კი, ათამდე ავტობუსსა და სამხედრო მანქანას ცეცხლი წაუკიდეს. საპასუხოდ, სამართალდამცავებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი, რომლის გამოყენებაც ყინვაში, კანონითაა აკრძალული. ხალხსა და უკრაინის სპეცრაზმს შორის ჩამდგარი ვიტალი კლიჩკო ამაოდ ცდილობდა ვითარების დარეგულირებას. მალე ყველაფერი ქაოსში გადაიზარდა. აქციის მონაწილეებმა მილიციელებსა და „ბერკუტის“ სპეცრაზმელებს ქვები და „მოლოტოვის კოქტეილები“ დაუშინეს. ოპოზიციონერებზე კი, აგრესია უკვე დემონსტრანტებისგანაც წამოვიდა. დაახლოებით 15-საათიან შეტაკებაში მძიმედ დაშავდა 200-მდე ადამიანი, მათ შორის, დაახლოებით 50 სამართალდამცავი, 20-მდე ჟურნალისტი და „გამშველებელი“ პოლიტიკოსებიც. დაზარალებულ ჟურნალისტებს შორის არიან რუსული „ნოვაია გაზეტას“ ფოტოკორესპონდენტი ევგენი ფელდმანი, რომელსაც ცხვირი გაუტყდა; დაშავდნენ უკრაინული მედიასაშუალებების: „ვესტის“, „შპილნო.ტვ“-ს, „რადიო თავისუფლებისა“ და ტელეარხ „1+1“-ის, ასევე „გოლოს უკრაინის“ წარმომადგენლები. სამართალდამცავებმა უკრაინული ინტერნეტტელევიზიის „სპილნობაჩენიას“ ოპერატორიც დააკავეს, რომელსაც ბრალი დასდეს მომიტინგეების ბენზინით მომარაგებაში. „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტები კი, რომლებიც სამართალდამცავებს, გარკვეული პერიოდი დაკავებული ჰყავდათ, ცემის ფაქტს ამგვარად იხსენებენ: „ისინი სასტიკად გაგვისწორდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პრესის წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩაფხუტი გვეკეთა, დაგვიჭირეს, ჩაფხუტი და ჟილეტი გაგვხადეს, ძირს დაგვყარეს და ხელჯოხებით თავში გვირტყამდნენ. შემდეგ ხელები გადაგვიგრიხეს და პოლიციის მანქანაში ჩაგვყარეს. „ბერკუტის“ რამდენიმე წევრი ერთდროულად გვირტყამდა, განსაკუთრებით, თავის არეში. შემდეგ მიწაზე დაგვანარცხეს და ფეხებით შეგვდგნენ“. დაშავებული სხვა ჟურნალისტების თქმით კი, „ბერკუტი“ მათ მიზანმიმართულად ესროდა რეზინის ტყვიებს.

მთავარი მოვლენები გრუშევსკის ქუჩაზე და „დინამო“ სტადიონთან განვითარდა. აქედან, ექთნებს, ყველა 5 წუთში გაჰყავდათ დაჭრილები. თავის ქალის მძიმე დაზიანება, თვალების ტრავმა, მოტეხილობები, დაჟეჟილობები — საავადმყოფოებში მოთავსებული უკრაინელების ყველაზე ხშირი დიაგნოზი ასეთი იყო. უკრაინის ჯანდაცვის დეპარტამენტის დირექტორის, ვიტალი მოხარევის ინფორმაციით, დაშავებულთაგან ერთს ხელის მტევნის ამპუტაცია ჩაუტარდა, ორმა კი მხედველობა დაკარგა. სამართალდამცავებმა აშკარად გადაამეტეს უფლებებს — დაშავებულთა შორის, ჟურნალისტ ანდრეი კოვალიოვის ინფორმაციით, რიგითი უკრაინელებიც არიან, რომლებსაც აქციასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

კოვალიოვის მტკიცებით, ორი ახალგაზრდა, რომლებიც კიროვოგრადელი მუშები აღმოჩნდნენ, „ბერკუტის“ წევრებმა სასტიკად სცემეს, შემდეგ კი აიძულეს, ევრომაიდნამდე საკმაოდ დიდი გზა, შიშვლებს ერბინათ. უკრაინის შსს-მ ინფორმაციის გადამოწმება და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა, 20 იანვარს დაიწყო.

ამავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოდესაში, ლვოვსა და როვნოში აქტივისტებმა კიევისკენ მიმავალ ძალოვნებს გზა გადაუკეტეს. ერთ დროს „ნარინჯისფერი“ უკრაინა, ბარიკადების ადგილად იქცა. უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზეა — ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტები ასეთ პროგნოზს აკეთებდნენ, მაგრამ უცებ, ოპოზიციის ლიდერებს თავად პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა დაურეკა და შეხვედრა მოითხოვა. პრეზიდენტის რეზიდენციაში პირველი ვიტალი კლიჩკო მივიდა. **„ჩვენ ორნი ვიყავით. შეხვედრას არავინ ესწრებოდა. პრეზიდენტმა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა იკითხა და მივხვდი, რომ მოვლენების ყველა დეტალი კარგად იცის. ჩვენი მოთხოვნები წავუყენე — გაუქმდეს ახალი „დრაკონული“ კანონი აქციების შესახებ, გადადგეს პრეზიდენტი და მთავრობა. მომეჩვენა, რომ იანუკოვიჩმა სიტყვა ბანზე ამიგდო. მას ჩვენი არ ესმის? 2 თვეა მაიდანი ფეხზე დგას და ის ისე იქცევა, თითქოს არაფერი ხდება“,** — ამგვარად აღწერა ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრა კლიჩკომ და ისიც დასძინა, რომ, სავარაუდოდ, იანუკოვიჩი მოთხოვნებს არ შეასრულებს, სამოქალაქო ომი კი, კვლავ მოსალოდნელია. ოპოზიციის ლიდერს მაინც აქვს იმედი, რომ სისხლისღვრისგან თავის არიდებას უკრაინა შეძლებს. იანუკოვიჩს კი, კლიჩკო, კადაფისა და ჩაუშესკუს ბედის გაზიარებას უწინასწარმეტყველებს.

ერთადერთი, რასაც კლიჩკო-იანუკოვიჩის შეხვედრამ შედეგად გამოიღო ესაა — უკრაინის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს და თავდაცვის მდივანს, ანდრეი კლიუევს დაავალა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც პოლიტიკური კრიზისის მოგვარების საკითხს განიხილავს. ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

კლიჩკოსთან შეხვედრის შემდეგ, იანუკოვიჩმა „ბატკივშჩინას“ ლიდერი არსენ იაცენიუკი მიიღო. ეს შეხვედრაც ოპოზიციისთვის სასურველი შედეგის გარეშე დასრულდა, შედეგი არ მოყვა, 20 იანვარს, ოპოზიციისა და მთავრობის წარმომადგენლების მოლაპარაკებასაც. ოპოზიციის 4 ლიდერისა (მათ შორის ამჯერად არ იყო ვიტალი კლიჩკო) და პრეზიდენტის მრჩევლის, ასევე იუსტიციის მინისტრის შეხვედრის შემდეგ, ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ ეს კონსულტაცია უფრო იყო, ვიდრე მოლაპარაკება, რადგან ვითარების დარეგულირების შესახებ არ უსაუბრიათ, ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ მოთხოვნები წაუყენეს. მოგვიანებით, უკრაინელ ხალხს, ტელეეთერით მიმართა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა: **„მოგიწოდებთ მშვიდობისკენ. არ აყვეთ ადამიანებს, ვინც ცდილობს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ბზარი გააჩინოს და ქვეყანა მასობრივი არეულობისკენ წაიყვანოს. მოგიწოდებთ დიალოგისა და კომპრომისისკენ, რათა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა იყოს. მჯერა ჩვენი ხალხის სიბრძნის და მზად ვარ, ვემსახურო უკრაინას“.**

სამაგიეროდ, ოპოზიციონერებს არ სჯერათ იანუკოვიჩის სიბრძნის და იმის, რომ უცებ პრეზიდენტის თავში საღი აზრი გაიმარჯვებს. მიუხედავად ამისა, ისინი მიიჩნევენ, რომ უკანასკნელი შანსიც უნდა გამოიყენონ უკრაინელების უფლებების დასაცავად და უკრაინის „რუსული კლანჭებისგან“ გადასარჩენად.

მშვიდობა უკრაინას არც 20-21 იანვრის ღამეს ჰქონდა. მოვლენები ძველი სცენარით განმეორდა. ისევ შეტაკება, ისევ „მოლოტოვის კოქტეილები“, ქვები... ისევ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი... დაახლოებით ღამის 3 საათზე „ბერკუტმა“ დემონსტრანტების ბარიკადები შტურმით აიღო, თუმცა დემონსტრანტებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და ისინიც, იძულებულნი გახდნენ, ზუსტად 15 წუთში საკუთარ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. დილას, გრუშევსკის ქუჩაზე სპეცრაზმს კვლავ კორდონი ჰქონდა გაკეთებული. მმართველი პარტია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ითხოვს. ოპოზიციონერები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ მთელი უკრაინის მასშტაბით, მათ ასობით აქტივისტს იჭერენ და მათზე ზეწოლას ახორციელებენ. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კიევის შესასვლელთან სამხედრო ბანაკები მოაწყვეს, იქვე კი, 30-მდე ავტობუსია მობილიზებული, რომლებშიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი საეჭვო ადამიანები იმყოფებიან. ოპოზიციის განცხადებით, ამით ხელისუფლებას სურს, ხელი შეუშალოს რეგიონებიდან დაუმორჩილებლობის აქციის მხარდასაჭერად ჩამოსული ადამიანების დედაქალაქში შესვლას.

„პატივცემულო აბონენტო! თქვენ რეგისტრირებული ხართ, როგორც მასობრივი არეულობის მონაწილე“, — ამ შინაარსის მესიჯი აქციის ყველა მონაწილეს ერთდროულად გაუგზავნეს. შეტყობინებები დაეგზავნათ გრუშევსკის ქუჩაზე მყოფ აქტივისტებსაც. ეს, გარკვეულწილად, გაფრთხილება იყო — ამის შემდეგ, უკრაინის შს სამინისტრომ სპეცრაზმს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება მისცა.

კიევში განვითარებულ მოვლენებს საერთაშორისო თანამეგობრობა გამოეხმაურა. ამერიკის ადმინისტრაციამ დაგმო დაპირისპირება, იანუკოვიჩს ვითარების დარეგულირებისკენ, კიევის ცენტრიდან სპეცრაზმის გაყვანისა და 16 იანვრის კანონის გადახედვისკენ მოუწოდა. ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაციის Freedom House-ის პრეზიდენტი დევიდ კრემერი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის წინააღმდეგ პერსონალური სანქციები უნდა შემოიღოს.

გაერო-ს გენერალური მდივნის, პან გი მუნის აზრით კი, უკრაინის ხელისუფლება ვალდებულია, უკრაინაში აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების პრინციპები, ასევე ოპოზიციასთან დიალოგი უზრუნველყოს.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები გმობენ ძალადობის ფაქტებს უკრაინაში და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ. სპეციალურ განცხადებაში, რომელიც საგარეო უწყების ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ გავრცელდა, საუბარია 16 იანვარს რადას მიერ აქციების შესახებ მიღებულ კანონზეც. ევროკავშირი უკრაინის ხელისუფლებას აღნიშნული კანონის შეცვლისკენ მოუწოდებს, რადგან „ამ კანონით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იზღუდება“. მიუხედავად კრიტიკისა, ბრიუსელში, უკრაინის წინააღმდეგ სანქციების გატარებაზე არ უმსჯელიათ. ევროკავშირის დამოკიდებულებამ აღაშფოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთი ძალისხმევას არ დაიშურებს უკრაინაში სტაბილურობის მიღწევისთვის. უკრაინაში ვითარების დაძაბვაში კი, ლავროვმა, არც მეტი, არც ნაკლები, ევროკავშირი დაადანაშაულა: **„ჩვენ ვამჯობინებდით, ჩვენი ევროპელი კოლეგები, ზოგიერთი მათგანი, უცერემონიოდ არ იქცეოდეს უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით. ყოველგვარი მიწვევის გარეშე, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელი მაიდანზე გაიქცა, ანტისამთავრობო დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, იმ ქვეყანაში, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა გააჩნია. ეს უწესო საქციელია და ამძაფრებს უკრაინაში ვითარებას“.**

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაც: „უკრაინის ლიდერებმა უნდა გამონახონ გზა პოლიტიკური უთანხმოების მოსაგვარებლად. იმედს გამოვთქვამთ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შემდგარი შეხვედრა, ვითარების დარეგულირებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება“.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ასეული უკრაინელი დაშავებულია, კიევის ცენტრალური ქუჩები და სპეცრაზმის ავტობუსები, ასევე სამხედრო მანქანები გადამწვარია, შენობები დაზიანებულია, საერთაშორისო თანამეგობრობა კი — აღშფოთებული, იანუკოვიჩი დათმობას არ აპირებს. როგორც უკრაინული ოპოზიცია ვარაუდობდა, პრეზიდენტის თავში, საღმა აზრმა ჯერ ვერ გაიმარჯვა. დათმობას არც მოქალაქეები აპირებენ. დაპირისპირების ქარცეცხლში გახვეული უკრაინის დედაქალაქის ცენტრი — მაიდანი ვიქტორ იანუკოვიჩის რეჟიმის გილიოტინად კვლავ რჩება.

სუდოკუ ფანია

ადვილი

4		2	1			5		
		1			8	3	2	
9								4
6			3	8				
		9				8		
				4	9			1
5								2
	9	7	8			6		
		4			2	7		3

სტანდარტი

4	8			2	7			1
	2			4		7		
5			6			8		
7			4					
	6	3				1	4	
					2			7
		5			3			6
		9		6			5	
6			7	5			1	8

რთული

		1			9			
8				1		2	5	
				8		6		3
								2
	8		9	4	5		7	
1								
7		5		2				
	1	4		7				6
			1			7		

ექსპერტი

9						4		
8	7						5	9
	2	5	4					
	6			4		2	9	
		1	9		6	3		
	8	9		2			1	
					5	9	2	
5	3						6	4
		7						3

ქმართან ცხოვრების აშენების პირობით ჭერი დაბრუნდა

ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში გათხოვილი ქალი ქმართან მას შემდეგ დაბრუნდა, რაც სასამართლო პროცესზე მამაკაცმა პირობა დადო, რომ სახლში ნორმალურ საპირფარეშოს ააშენებდა. 27 წლის ქალი, რომელიც 30 წლის მეუღლესთან 7 წელია ცხოვრობს და ორი შვილიც ჰყავთ, იძულებული გახდა, ოჯახიდან წასულიყო, რადგან ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ნორმალური პირობები არ ჰქონდათ — სასამართლოში განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და მიზეზად სწორედ ტუალეტის არარსებობა დაასახელა.

ინტერნეტით გაცნობა აკრძალეს

ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ახალი ბრძანება გამოსცა, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს ინტერნეტის მეშვეობით გაცნობას უკრძალავს. მანამდე ქვეყანაში დაიბლოკა პროგრამა სმარტ-ფონებისთვის, რომელიც აბონენტებს გაცნობის საშუალებას აძლევდა, მიზეზად კი რელიგიური მოღვაწეები ვირტუალური ნაცნობობის „ამორალურობას“ ასახელებენ. ირანის სასულიერო ლიდერები ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს, დიდი ხანია, არ სწყალობენ — უკვე რამდენიმე წელია, აქ აკრძალულია Facebook და Twitter — ისინი სახელმწიფო წყობის მტრად და მასობრივი არეულობის მიზეზად გამოცხადდა.

მოხუცს კბილები ამოსდის

აპენინებზე, ვენეტოს პროვინციაში მცხოვრებ 97 წლის ქალ-ბატონს, მოულოდნელად, კბილი ამოეჭრა. ელენა ნოველო უკვე ერთი წელია ვერ ჭამს მყარ საკვებს და ის გემოგენიზირებულ პროდუქტზეა გადასული, რომელიც პატარა ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა მისი გაოცება, როცა ერთ მშვენიერ დღეს პირის ღრუში ჯერ ერთი, რამდენიმე დღის შემდეგ კი მეორე ახალი კბილიც აღმოაჩინა. ამჟამად ქალბატონ ნოველოს ხუთი კბილი აქვს და ამ უჩვეულო, მაგრამ არა უნიკალური (მსოფლიოში უკვე დარეგისტრირებულია მსგავსი რამდენიმე ფაქტი) მოვლენის შესწავლას უკვე შეუდგნენ ადგილობრივი მედიკოსები და სტომატოლოგები, თუმცა ამ ფენო-მენს სამეცნიერო ახსნა ჯერჯერობით ვერ მოუძებნეს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	1	3	8	9	7	5	6	4
6	4	7	5	2	1	8	9	3
9	5	8	6	4	3	7	2	1
7	6	2	4	5	9	3	1	8
4	8	5	3	1	6	2	7	9
3	9	1	7	8	2	4	5	6
1	3	9	2	7	8	6	4	5
5	7	6	1	3	4	9	8	2
8	2	4	9	6	5	1	3	7

სტანდარტი

9	6	5	8	3	7	4	2	1
4	3	2	9	6	1	8	7	5
1	8	7	4	5	2	6	3	9
8	5	1	3	9	4	7	6	2
7	2	9	1	8	6	5	4	3
6	4	3	7	2	5	1	9	8
2	1	8	6	7	3	9	5	4
5	9	6	2	4	8	3	1	7
3	7	4	5	1	9	2	8	6

ადვილი

5	4	3	6	1	9	8	2	7
2	9	8	7	5	3	6	4	1
1	7	6	2	8	4	9	5	3
9	6	7	8	4	1	5	3	2
4	5	2	9	3	7	1	8	6
3	8	1	5	6	2	7	9	4
6	3	9	1	2	5	4	7	8
8	2	5	4	7	6	3	1	9
7	1	4	3	9	8	2	6	5

სტანდარტი

6	4	3	8	2	9	1	7	5
2	1	9	6	7	5	8	4	3
8	7	5	4	3	1	2	9	6
1	8	6	9	5	7	4	3	2
9	5	7	2	4	3	6	1	8
4	3	2	1	8	6	9	5	7
7	6	4	5	1	2	3	8	9
5	9	1	3	6	8	7	2	4
3	2	8	7	9	4	5	6	1

რთული

4	8	5	7	3	9	6	2	1
7	3	6	2	5	1	4	9	8
2	1	9	8	6	4	7	3	5
6	5	8	9	4	7	2	1	3
9	4	3	1	2	5	8	7	6
1	2	7	6	8	3	5	4	9
3	9	4	5	7	8	1	6	2
5	7	2	3	1	6	9	8	4
8	6	1	4	9	2	3	5	7

ექსპერტი

4	3	2	1	8	7	9	6	5
1	9	8	5	6	4	3	2	7
5	7	6	3	2	9	1	4	8
8	2	9	7	4	6	5	3	1
6	1	3	2	9	5	8	7	4
7	5	4	8	3	1	6	9	2
3	8	7	9	5	2	4	1	6
2	6	5	4	1	3	7	8	9
9	4	1	6	7	8	2	5	3

რთული

5	2	1	4	8	9	3	7	6
4	7	9	3	6	1	5	8	2
8	3	6	7	5	2	4	1	9
6	4	5	2	3	8	1	9	7
3	1	8	9	7	6	2	5	4
2	9	7	1	4	5	8	6	3
1	6	3	8	2	7	9	4	5
9	5	4	6	1	3	7	2	8
7	8	2	5	9	4	6	3	1

ექსპერტი

3	1	2	9	8	5	7	6	4
9	8	7	3	6	4	5	2	1
6	5	4	7	2	1	9	3	8
2	9	5	4	3	8	6	1	7
1	6	3	5	9	7	4	8	2
4	7	8	6	1	2	3	9	5
8	4	6	2	7	3	1	5	9
7	3	1	8	5	9	2	4	6
5	2	9	1	4	6	8	7	3

მე-12 გვერდი: 1. ტრომბონი; 2. რეკვიემი; 3. მუსტანგი; 4. ოდიში; 5. ბანკროტი; 6. ანტონიონი; 7. კაბუკი; 8. ორეული; 9. აკუსტიკა; 10. ნეოლითი; 11. ტაატი; 12. ბახი; 13. შტიბლეტი; 14. ინსინუაცია; 15. ოცი; 16. ალგორითმი; 17. გეენა; 18. შელი; 19. ნიკოლა; 20. ჰიტი; 21. ტიტანი; 22. მოგადიშო; 23. ნარგილე; 24. სოლომონ; 25. მანა; 26. გლიცინია; 27. დაჰაუ; 28. ალაჰი; 29. მაო; 30. ანი; 31. ბალახი; 32. მოა; 33. კილიტა; 34. ირისი; 35. რიფი; 36. ალა; 37. რაბინი; 38. პა; 39. კეცი; 40. რგოლი; 41. იავა; 42. ურანია; 43. ლოთი; 44. კუპრი; 45. იგავი; 46. იბნ; 47. თალია; 48. ალკკ; 49. ია; 50. ცერბერი; 51. ბუ; 52. გრიმო; 53. ოე; 54. ანცი; 55. დუ; 56. სელი; 57. ობი; 58. ნირი; 59. ოლე; 60. არტალა; 61. ინდიგო; 62. არსენალი; 63. დიახ.

მე-13 გვერდი: 1. ჩიჩილაკი; 2. ჩურჩხელა; 3. უტამარო; 4. ჩახრუხაძე; 5. ჩახოხბილი; 6. ლაბირინთი; 7. კუზი; 8. შანხაი; 9. ნათელთევზა; 10. აგუნა; 11. ხაბაზი; 12. ოპიუმი; 13. ოკეანე; 14. იქთიოზავრი; 15. კოპი; 16. ხარი; 17. ხურო; 18. გალიფე; 19. ინტი; 20. ქოთაო; 21. თუთა; 22. სიძე; 23. არკა; 24. მიმი; 25. ზნე; 26. ბელტი; 27. იღლია; 28. ლაპლანდია; 29. მიტროპოლიტი; 30. გრაკალი; 31. ოაზისი; 32. პიპია; 33. ობი; 34. მინორი; 35. ემი; 36. ვოგი; 37. პაი; 38. „ლამბორგინი“; 39. გომბიო; 40. ოსანა; 41. ბორდო; 42. წრიაპი; 43. ვიზა; 44. ვაზა; 45. რიგა; 46. „ნაიკი“; 47. სამარა; 48. გნუ; 49. ვერონიკა; 50. მდარე; 51. ვაი; 52. იმ-ერული; 53. იუკო; 54. ნოსირი; 55. ლივრეა; 56. ვისოცკი; 57. რალი; 58. სირი; 59. მილდიუ; 60. იდალგო; 61. აუტი; 62. აკმე; 63. ასკეტი; 64. დრუიდი; 65. ავი; 66. იანი; 67. მოორი; 68. ედი; 69. თრია; 70. ოქტავა; 71. აკირა; 72. მადამ; 73. კოლოდი; 74. ლოდი; 75. რეა; 76. აზო; 77. იმრე; 78. მონეტა; 79. სტაკატო; 80. კაოლინი; 81. იავა; 82. ტურბინა

1. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი „ნატვრის ხეში“
2. მეცნიერება მფრინავი თეფშების შესახებ
3. „შევროლეს“ მოდელი
4. ეთიოპიის იმპერატორის ტიტული
5. საარჩევნო უფლების მქონე ადამიანთა ერთობლიობა
6. განუცხორციელებელი ოცნება, ფანტაზია
7. ამხანაგი პროფესიის, თანამდებობის მიხედვით
8. ჯაკომო პუჩინის ოპერა
9. კანონიზებული ტექსტების მეც. გამოცემა
10. იუდეველთა მეფე
11. ხის ან ბუჩქის გამონაზარადი
12. გერმანიის სახელწოდება ფრანგულ ენაში
13. ჰოლივუდის მსახიობი ... კრუზი
14. რაიმე საქონლის მთავარი საწყობი
15. ყველაზე პატარა თითი
16. მოკლე უვადო დრეკადი ხმალი
17. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები
18. ისტორიული ციხე კლარვეთში
19. მომწამვლელი ნივთიერება „მდოგვის გაზი“
20. ტბა ალასკაზე
21. ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე
22. ყინული - ინგლისურად
23. ისტორიის მუზა
24. დიდი ჩაქუჩი
25. უდიდესი კურილიის კუნძულებს შორის
26. ხემცენარე სურნელოვანი ყვავილებით
27. ჰოლივუდის უბერებელი კოვბოი
28. ჰუნების წინამძღოლი
29. მოუხარშავი ან შეუწვავი
30. „ოქროს ციებ-ცხელების“ გამოშწვევი მდინარე აშშ-ში
31. საქონლის ფასი, შეფასება
32. ჰონდურასის ფულის ერთეული
33. ერთეულოვანი ვექტორი
34. სინათლის სიკაშკაშის მოძველებული ერთეული
35. სიმინდის ყვავილედი
36. ცხენის ფეხზე დასაკრელი რკინა
37. თევზის ძვალი
38. ილია ჭავჭავაძის მეუღლის სახელი
39. სოფელი გორის რაიონში
40. ოთახის დეკორატიული მცენარე
41. კატის ხმიანობა
42. სანელებელი მცენარე, კარდამონი
43. მათემატიკური მუდმივა
44. ბოლქვიანი ყვავილი
45. ანტიკური კოლხეთი
46. საყანედ გაკაფული ტყე
47. კანი ფრჩხილის ირგვლივ
48. ქვეყანა, რომლის დედაქალაქია ვარკარტა
49. ... ხუნჭუა „რეკორდში“
50. იაპონუ-რი ძაღლის ჯიში სიბა-...
51. პიკასოს ქალიშვილი
52. იგივე მამითადი
53. ინდიელთა ტომი
54. ხულიგანი საფრანგეთში
55. მანძილის საზომი ძვ. საქართველოში
56. ქართ. მინ. წყალი
57. იტალ. საფ. კლუბი
58. სამოქალაქო აციაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
59. კორეული ავტომარკა
60. ძვირფასი ნივთები, განძი
61. მონტანას შტატის უდიდესი ქალაქი
62. შავი ზღვის ზვიგენი
63. მუსიკალური გამის VII ნოტი
64. თედორე დოსტოევსკის რომანი
65. აფრიკული მაგია
66. დიუმას დედოფალი
67. ირანის ადმინისტრაც. ტერიტორიული ერთეული
68. ჭაობის მცენარე
69. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
70. ულან-ბატორის ძველი სახელწოდება
71. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
72. ლეო ქიაჩელის „... ბიგვა“
73. იგივეა, რაც შუშა
74. რუსი რევოლუ-ციონერი, საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე
75. ამერიკელი მომღერალი ... სტეფანი
76. იაპონური ანბანის ერთ-ერთი გრაფიკ. ფორმა
77. სიმინდის შესანახი ნაგებობა
78. ძვ. საომარი სატყორცნი იარაღი
79. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
80. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
81. ტოპ-მოდელი ... კემბელი
82. შიშველი სხეული ფერწერაში
83. უდიდესი ინგლისელი ზღვაოსანი
84. შხამიანი გველი
85. ავსტრალიელი მწერალი ქალი
86. „თეთრ პელედ“ წოდებული ბრაზილიელი ფეხბურთელი
87. ცირკის მასხარა
88. მეტყველების ნაწილი

ყველაზე სასარგებლო პროდუქტი

სპეციალისტებმა ყველაზე სასარგებლო პროდუქტის ჩამონათვალი გამოაქვეყნეს, რომელიც ტვინის სტიმულირებას ახდენს და გონებრივ აქტივობას ზრდის: პირველ ადგილზე ცხიმიანი თევზია, რომელიც ცხიმმჟავა ომეგა-3-ითაა მდიდარი და სწავლულები გვირჩევენ, ეს პროდუქტი კვირაში 1-2-ჯერ მაინც მივირთვათ. მეორე ადგილზე რძე და რძის ნაწარმია — მას ადვილად ითვისებს ტვინი, რაც ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს, ეს ყველაფერი კი პოზიტიურად აისახება ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, ვინც რეგულარულად მოიხმარს რძესა და რძის ნაწარმს, მეხსიერებისა და ლოგიკური აზროვნების მაჩვენებელი მაღალი აქვს.

პარკოსნები, რომელიც ფოლიუმის მჟავასა და „ბე-“-ვიტამინს შეიცავს, მესამე ადგილზე გავიდა. ისინი მეხსიერების განმტკიცებას უწყობს ხელს. ჩამონათვალში მეოთხეა პომიდორი, რომელიც ანტიოქსიდანტ ლიკოპინს შეიცავს და თავისუფალ რადიკალებს ანადგურებს, რომელიც აზიანებს ტვინის უჯრედებს. სხვათა შორის, პომიდვრის თერმული დამუშავებისას, ლიკოპინის კონცენტრაცია იზრდება. ეს ნივთიერება ასევე წმენდს ორგანიზმს, უჯრედების განახლებასა და კანის გაახალგაზრდავებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პროდუქტის გარდა, მეცნიერები ასევე გვირჩევენ მოცვის, კომბოსტოს, ჭარხლისა და ისპანახის მიღებას.

ჰოროსკოპი
22 იანვარი

ვერძი — თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ, წარმატების მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. არავინ ჩაახედოთ თქვენს საქმეში, ცნობისმოყვარეები კი ზრდილობიანად მოიშორეთ თავიდან.

კურო — დღეს ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც მაინცდამაინც არ გიხალისებათ, მაგრამ ნუ იწუწუნებთ, ამით ვერაფერს შეცვლით, აჯობებს, შეასრულოთ საკუთარი მოვალეობა და ემოციებს არ აუვეთ.

ტყუპები — დღეს მცირე, მაგრამ დირსეულ გამარჯვებას მოიპოვებთ და გარშემომყოფებიც სათანადოდ დაგაფასებენ — ვისაც თქვენი გაგება სურს, გაგიგებთ.

კირჩხიბი — საუკეთესო ფორმაში იქნებით. უველაფერი გამოგივათ, წარმატებას მიაღწევთ. გარშემომყოფები კი თქვენი კეთილგანწყობის მოპოვებაზე იზრუნებენ.

ლომი — ოჯახური საქმეები სამსახურზე წინ დააყენეთ, ამით არაფერი დაშავდება — შეეცადეთ, უველაფერი დღესვე მოაწესრიგოთ და ხვალისთვის არაფერი გადადოთ.

ქალწული — ნეიტრალური დღეა — ნუ დაიჯერებთ უველაფერს, რასაც დღეს გეტყვიან, გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია და ასე მოსალოდნელ კონფლიქტს თავიდან აიცილებთ.

სასწორი — მოთმინებით აღიჭურვეთ: ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც უურადღებასა და დიდ ენერგიას მოითხოვს. ნუ გაამწვავებთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან.

ღრიანკალი — საშუალება მოგეცემათ, სრულად წარმოაჩინოთ თქვენი ნიჭი და შესაძლებლობები. გახსოვდეთ, რომ მეგობრობა ის ურთიერთობაა, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება.

მშვილდოსანი — მცირე უსიამოვნება უეკვალოდ გაქრება, სამსახურშიც წარმატება გელით, მთავარია, სწორი არჩევანი გააკეთოთ და არც ერთი წინააღმდეგობის წინაშე არ დაიხიოთ უკან.

თხის რქა — შანსი არ უნდა გაუშვათ ხელიდან — შეეცადეთ, უველაფრისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ. დღეს ორი მოკამათე ადამიანის გაშველება და ურთიერთობის დარეგულირება მოგიწევთ.

მერწყული — უველასა და უველაფრის წინააღმდეგ მოგინდებათ გალაშქრება. ამაში ცუდი არაფერია, თუკი საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მტრებს გაიჩენთ.

თევზები — გირჩევთ, არ გაეკაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც უარს არასოდეს ეუბნებოდით დახმარებაზე, რადგან კეთილ ნებას ისინი მოგვლეობად ჩაგითვლიან, რაც თქვენს უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ჩინოვნიკებს ალკოჰოლი და დელიკატესები აუკრძალეს

ანტიკორუფციული რეფორმების ფარგლებში, ჩინეთის ხელისუფლებამ ჩინოვნიკებს მიღებაზე ძვირიანი დელიკატესები, ალკოჰოლი და მოწევაც კი აუკრძალა. სამთავრობო სადილის ორგანიზების ახალმა წესებმა, რომელიც უკვე წარუდგინეს გაოგნებულ მუშაკებს, მათში, ჯერჯერობით, მხოლოდ მდუმარე პროტესტი გამოიწვია — გარდა საყოველთაოდ მიღებული ტრადიციების დარღვევისა, ახალი ეთიკური კოდექსი ჩინურ მენტალიტეტსაც ეწინააღმდეგება. ასეა თუ ისე, ამიერიდან, ჩინელ სახელმწიფო მოხელეებს საკვების შეზღუდვა მოუწევთ — ყოველი მიღება ჩინური სამზარეულოს დახვეწილი კერძების გარეშე ჩაივლის. მივლინებისას მასპინძელ მხარეს ასევე არ აქვს უფლება, სტუმარ ჩინოვნიკს სუვენირი, ფული ან ადგილობრივი ოსტატების ნახელავი აჩუქოს. მოხელეებს, რომელთა თანამდებობა პროვინციის ხელმძღვანელობაზე დაბალია, აღარ აქვთ უფლება, სასტუმროს ლუქსებში იცხოვრონ, ასევე ვეღარ ისარგებლებენ ძვირიანი ავტომობილებით.

ჩვილი ლიმონათით მონათლეს

ნორვეგიელმა მღვდელმსახურმა პაალ დალემ ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას გაზიანი ლიმონათი გამოიყენა, მიზეზი კი ის იყო, რომ დიდი ყინვის გამო, ეკლესიაში ყველა ონკანი გაიყინა და ამ წმინდა რიტუალისთვის განკუთვნილი ნაკურთხი წყალი ვერ გამოიყენა. ტაძარი, სადაც დალე მსახურობს, ქალაქ სტორდეში მდებარეობს, დედაქალაქ ოსლოდან ჩრდილოეთით. მღვდლის განცხადებით, იგი იძულებული გახდა, ჩვილის მშობლებისთვის ეთქვა, რომ ნათლობისას ლიმონათი გამოიყენა, მხოლოდ ეს რიტუალის დასრულების შემდეგ გააკეთა. ცერემონიაზე დამსწრენი, მართალია, გააოცა ნაკურთხი წყლის უჩვეულო სუნმა, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

უძვირფასესი პუდინგი

ყველაზე ძვირი პუდინგი ლონდონელმა კონდიტერმა მარტინ ჩიფერსმა დაამზადა და მისი ღირებულება 23 500 გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით, 28 ათასი ევრო), ტრადიციული საშობაო ტკბილეულის ასეთი ფასი კი ინგრედიენტებითაა განპირობებული. პუდინგში გამოიყენეს 1810 წელს გამოშვებული კონიაკი და ჰენრი VI-ის ეპოქის მონეტა, ასევე ირანული ნუში და აგავა. ძვირფას დესერტთან ერთად, მყიდველს ერგება პუდინგის დამზადების შემდეგ დარჩენილი ძვირფასი კონიაკი და სხვა სასმელი — შერი, რომი და ღვინო მარსალა. საშობაო პუდინგი ნისლიან ალბიონზე ტრადიციული ნუგბარია და ყველა ოჯახის სადღესასწაულო სუფრას ამშვენებს დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, მოსამზადებლად კი საჭიროა სხვადასხვა ჩირი, თხილი, საქონლის ქონი, დარიჩინი, მიხაკი, ალკოჰოლი.

ლეიკემიას ერთი პრეპარატით განკურნავენ

ავსტრალიელმა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ მათი ცდები ლეიკემიის საწინააღმდეგო ექსპერიმენტულ პრეპარატზე წარმატებით დასრულდა. მელბურნის ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, წამალ ABT-199-ის ცდების მონაწილე 67 პაციენტი იყო, რომელთაც ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკოზი აღენიშნებოდათ, მათი განკურნება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო და მხოლოდ 18 თვის სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი, თუმცა საცდელი პრეპარატის თითქმის ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ, პაციენტთა 23%-მა დაამარცხა დაავადება, 61%-ში კი ნაწილობრივი რემისია მიდის. სიმსივნური უჯრედების დამარცხება მხოლოდ ერთი წამლის გამოყენებით — ეს დაუჯერებელია, — აღნიშნავენ ავსტრალიელი მეცნიერები.

ჰოროსკოპი
23 იანვარი

ვერძი — დღეს მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ იმას, რას ლაპარაკობთ, არამედ იმასაც, რას ისმენთ. რაც უფრო უურადღებით იქნებით, თქვენთვის მით მეტ საინტერესოსა და სასარგებლოს შეიტყობთ.

კურო — დღე ხალხში გაატარეთ. ნუ ჩაიკეტებით სახლში და ნურც ცხოვრებით ტკბობის საამოვნებას მოაკლებთ საკუთარ თავს. ფინანსური პრობლემები მარტივად მოგვარდება, თუკი ინტუიციას მიენდობით და გეგმების განხორციელებას ძალეკე შეუდგებით.

ტყუპები — მოგიწევთ შეგუება, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხართ, დადებითი თუ უარეოფითი, სუსტი თუ ძლიერი მხარეებით, რაც ნაკლებად სასიამოვნო იქნება, რადგან ბოლო დროს გარშემომყოფებმა გაგანებივრეს ზედმეტი უურადღებით.

კირჩხიბი — იმაზე მეტ წარმატებას მიაღწევთ, ვიდრე ელოდით, რის გამოც გარშემომყოფები დიდად კმაყოფილები არ დარჩებიან, თუმცა თქვენი დიპლომატიურობის წყალობით ადვილად მოიპოვებთ მათ კეთილგანწყობას.

ლომი — მიეცით გარშემომყოფებს საშუალება, გვერდში დაგიდგნენ და სასარგებლო რჩევები მოგცენ. შესაძლოა, ეს სასარგებლოც აღმოჩნდეს. სიჯიუტე დღეს პროდუქტიული არ იქნება.

ქალწული — ფრთხილად იყავით გადაწყვეტილებების მიღებისას და ნაჩქარევი ნაბიჯები არ გადადგათ. მხოლოდ ასე აიცილებთ თავიდან მოსალოდნელ უსიამოვნებას.

სასწორი — მზად იყავით — მოგიწევთ საკმაოდ რთული არჩევანის გაკეთება, ეცადეთ ისე იმოქმედოთ, რომ არც თქვენ დაზარალდეთ და არც საყვარელ ადამიანს ატკინოთ გული.

ღრიანკალი — თქვენი ზედმეტი ემოციურობა უამრავ პრობლემას შეგიქმნით როგორც პროფესიულ, ასევე პირად სფეროში. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და ეცადეთ, გაერიდოთ კონფლიქტურ ვითარებას.

მშვილდოსანი — პრობლემის არსისადმი ვიწრო მეცნიერული მიდგომა და ინტუიციური გადაწყვეტილებები დღეს აუცილებლად დაგჭირდებათ. ნუ დაიტვირთავთ თავს უსარგებლო საკითხებზე ფიქრით — ეცადეთ, პრაგმატულად იმოქმედოთ.

თხის რქა — გაითვალისწინეთ, რომ ამპარტავნება არც სამსახურში გამოგადგებათ და პირად ურთიერთობაშიც უამრავ პრობლემას შეგიქმნით. იყავით გულწრფელი და უამრავი ადამიანის პატივისცემას მოიპოვებთ.

მერწყული — დღეს რომანტიკულმა ურთიერთობებმა, შესაძლოა, უმაღლეს წერტილს მიაღწიოს, ბევრი იქნება დამოკიდებული პირადად თქვენზე.

თევზები — დღეს, შესაძლოა, დაგჭირდეთ დასვენება თქვენთვის საყვარელი ადამიანების საზოგადოებისგან, სჯობს, დრო მარტოობაში გაატაროთ და სამომავლო გეგმებზე დაფიქრდეთ.

სუდოკუ

ადვილი

		2		3	1	9		4
3			9	8			1	7
	2					4		3
			7	2	9			
1		9					5	
9	3			6	7			1
4		6	3	5		8		

სტანდარტი

					9			
1			3		6		9	
		7		2			8	
				4				2
6		3				8		7
9				6				
	1			9		4		
	6		2		5			8
			7					

რთული

					4			
3				2		8		
2	1			7			5	
		7		1			2	
8								3
	3			8		7		
	6			3			4	1
		5		9				2
			1					

ექსპერტი

6								1
3	2				4			7
		7		2		6		
				3		2	1	
1		3		6		5		4
	4	8		1				
		6		8		1		
8			9				6	2
7								3

პოლონელებმა ქალაქი ნახეს

უსიამოვნო ამბავი მოისმინეს ვარშავის მცხოვრებლებმა მედიკოსებისგან, რომელთაც მათი წონა გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ დედაქალაქს შეუძლია „მსუქნების ქალაქის“ ტიტულზე პრეტენზია ჰქონდეს — ჭარბი წონა აქაური ქალების 59%-ს, ხოლო კაცების 76%-ს აწუხებს. არადა, ჯერ კიდევ ათი წლის წინ, ამ მხრივ, ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ იყო, — ამბობენ სპეციალისტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ წარმოქმნილი პრობლემის მიზეზი არასწორი კვებაა. პოლონელები, ტრადიციულად, ფქვილოვან ნაწარმს, ტკბილეულსა და ცხიმიან საჭმელს მოიხმარენ. ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა სხვა დიდ ქალაქებში, ვითარების გამოსასწორებლად კი ვარშავის ხელისუფლებამ ფართო პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო დევიზით „პოლონელებო, გახდით!“ აქციის ფარგლებში, ქალაქის ქუჩებში სპეციალური ავტობუსი დადის, რომელიც ხანგრძლივად ჩერდება მოედნებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც მსურველებს შეუძლიათ უფასოდ შეიმოწმონ წონა, არტერიული წნევა, ჩაიტარონ სისხლის ექსპრესანალიზი ქოლესტერინზე და ასევე მიიღონ სპეციალისტების რჩევები.

საგზაო პოლიციაში მხოლოდ ქალები იმუშავებენ

უახლოეს მომავალში, პერუს დედაქალაქ ლიმას გზებზე უსაფრთხოებას მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლები დაიცავენ — ასეთი გადაწყვეტილება ლიმას მუნიციპალიტეტმა მას შემდეგ მიიღო, რაც გამოკვლევით დადგინდა, რომ პოლიციელი მანდილოსნები მამაკაცებზე მკაცრები არიან და კორუფციისკენაც ნაკლები მიდრეკილება აქვთ. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, საგზაო პოლიციაში კაცები ქალებით ჩაანაცვლონ. 8-მილიონიან ქალაქს, თავის ქაოტური მოძრაობით გზებზე, სუსტი სქესი ტოტალურ კონტროლს გაუწევს.

სრულფასოვანი ხელოვნური გული შექმნეს

ცოტა ხნის წინ, მეცნიერებმა სრულფასოვნად მომუშავე ხელოვნური გული წარმოადგინეს, რაც ბიოლოგიასა და მედიცინაში კოსმოსური ტექნოლოგიების ინტეგრაციის წყალობით გახდა შესაძლებელი. სინთეტიკური გულის შესაქმნელად, სწავლულები 15 წლის განმავლობაში ირჯებოდნენ: პირველად ორგანოს ტესტირება ფრანგ ავადმყოფებზე ჩატარდა, სამუშაოებს ფრანგი პროფესორი ალიენ კარპენტიე ხელმძღვანელობდა და სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო კოსმოსური ტექნოლოგიების გამოყენება. მეცნიერმა გათვალა გარემოება, რომ ასეთი ტექნოლოგიები გრძელვადიანია, გამძლეა და მაღალი სიზუსტით გამოირჩევა. ხელოვნური გული აერთიანებს ორგანულ მასალებს, ბიოლოგიურ ქსოვილებსა და ნანილების შემცირებულ ასლებს, რომლებიც თანამგზავრების აგებისას გამოიყენება. „ახალი გულის“ სარქველები წელიწადში 35 მილიონ გახსნასა და დახურვაზეა გათვლილი, ორგანოს „ვარგისიანობის ვადა“, სულ ცოტა, ხუთი წელია. სპეციალისტების განცხადებით, ხელოვნურ გულს ამ სასიცოცხლო ორგანოს ტრანსპლანტაციის გაუთავებელი ღოდინის სრულად აღმოფხვრა შეუძლია.



უჩვეულო დაავადება ფეხებს ზრდის

ბრიტანეთის ქალაქ აკრინგტონში მცხოვრებ მენდი სელარსს უჩვეულო დაავადება სჭირს – მისი ფეხები ყოველწლიურად იმატებს ზომაში. ექიმები ვარაუდობენ, რომ ქალს „პროთეას სინდრომი“ სჭირს, მაგრამ არ იციან, როგორ უმკურნალონ, ერთადერთი, რისი შეთავაზებაც მისთვის შეუძლიათ, ქირურგიული ჩარევაა ორივე კიდურის ამპუტაციით, მაგრამ მენდის ასეთი გამოსავალი არ აწყობს და იმედოვნებს, რომ მედიკოსები მკურნალობის ალტერნატიულ გზას მიაგნებენ. ცხადია, ასეთი დაავადებით ძნელია ცხოვრება, მენდის სიარული უჭირს და როგორც ექიმები ამბობენ, ოპერაციის გარეშე მალე ჯდომასაც ვერ შეძლებს. მისი მარცხენა ფეხი თითქმის 13 სანტიმეტრით გრძელია მარჯვენაზე, მარცხენას ტერფი დეფორმირებულია და 180 გრადუსითაა მობრუნებული. მენდის წონა 126 კილოგრამია, აქედან 95 — მის ფეხებზე მოდის. დაავადება ქალს თანდაყოლილი აქვს, მაგრამ ჩვეულებრივი ბავშვივით გაიზარდა, კოლეჯიც დაამთავრა და ფსიქოლოგიის ბაკალავრიც გახდა. ახლა ქალი 33 წლისაა და ცდილობს, ჩვეულებრივი ადამიანივით იცხოვროს, თუმცა ვითარება თანდათან უარესდება, ექიმები კი, ამპუტაციის გარდა, სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ.

ცყალეცი – ქორწილის ტრადიცია

ასეთ პირობას უყენებენ ინდოელი გოგონების დედები მამაკაცებს, რომელთაც მათზე დაქორწინება სურთ. სოფლებში ასეთი ლოზუნგები იმ კამპანიის ფარგლებში ჩნდება, რომლის მიზანიც ნორმალური ტუალეტების რაოდენობის გაზრდაა. ქვეყანაში, სადაც სახლებში ტელევიზორი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე საპირფარეშო, ეს ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია წყლისა და კანალიზაციის ქრონიკული უკმარისობის წინააღმდეგ. აქ 660 მილიონ კაცზე მეტი დღესაც კვლავ ქუჩაში იკმაყოფილებს ბუნებრივ მოთხოვნილებას და ამის გამო ქალები ძალიან წუხდებიან, რომლებიც დაღამებას ელოდებიან, რომ არავინ დაინახოს. კამპანიის ორგანიზატორები კმაყოფილები არიან შედეგებით: ადგილობრივები აღიარებენ, რომ ამ ლოზუნგმა შეცვალა მათი შეხედულებები და ახლა მზად არიან, ქალიშვილები მხოლოდ იმათ მიათხოვონ, ვისაც სახლში ტუალეტი აქვს. ტრადიციების ზოგიერთი თავგამოდებული მიმდევარი კი კვლავ წინააღმდეგია, რადგან ეს დაწესებულება უწმინდურად მიიჩნევა და მისი ადგილი სახლში არ არის, სადაც საჭმელსაც ამზადებენ.

1. სამთო სამუშაოების სპეციალისტი
2. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება
3. ძლიერი ხმის გამომ. მოწყობილობა
4. იგივეა, რაც ღაწვი
5. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი
6. დაჭყლეტილი ბოსტნეულის კერძი
7. ჯგუფური ცეკვების შემსრულებელი გუნდი ბალეტში
8. სახელდახელოდ თქმული ლექსი
9. რაიმე პროდუქტის გემოს გასინჯვა
10. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი
11. ძაღლების შემსწავლელი მეცნიერება
12. შექსპირის „მეფე ...“
13. „ბარსელონას“ კაპიტანი
14. ყნოსვის უქონლობა
15. უმაღ. პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა
16. გრაფი „დათა თუთაშხიაში“
17. რუსეთის პრეზიდენტი
18. დიდი სანთელი
19. სოფ. ბორჯომის მუნიციპალიტეტში
20. რუსეთ. სამეფო ოჯახის ფაეორიტი
21. ხელოვნური საერთაშორისო ენა, ესპერანტოს ვარიანტი
22. სამაგიდო თამაში
23. ნიგვზით შეკაზმული კომბოსტო
24. საჭმელების სია
25. რუსი მწერალი
26. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
27. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
28. ალალბედზე მოქმედება
29. სახელმწ. დახმარება საწარმოსთვის
30. ლიტერატურული ჟანრი
31. ახლად ამოსული წმინდა ბალახი
32. ელექტრ. განმუტვა ატმოსფეროში
33. პლან. მერკურის ძველქართ. სახელწოდ.
34. ამერიკელი მომღერალი ქალი
35. ორსული საქონელი
36. „საახალწლო“ ხე
37. ქართული გაზეთი
38. წითელი ფერის ძვირ. ქვა
39. ძნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
40. სქესის უქონლობა
41. კარგი ამინდი
42. სვეტებიანი გალერეა
43. საბუდარში ჩადებული კვერცხი
44. ქართ. ტრადიც. საახალწლო კერძი
45. კავშირი ქართულ ენაში
46. მზის ძველეგვიპტური ღმერთი
47. თბილისის უბანი
48. გარეული ფრინველი
49. სტალონეს შინაურული სახელი
50. ტბა ეთიოპიაში
51. კორეული ავტომარკა
52. ვაჟფშაველას მოთხრობა
53. გლამურული ჟურნალი ქალებისთვის
54. წამლის ბურთულა
55. მუსიკალური გამის VI ნოტი
56. ბალახის ჩრდილი
57. სოფელი სენაკის რაიონში
58. დიდი გარმონი
59. ღამის ფრინველი
60. აღმოსავლური ტკბილეული
61. სამხატვრო მუზეუმი მადრიდში
62. სახოტბო ლექსი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდამა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.